

გამოსახსნელად მარცხით მთავრდებოდა. რუსეთ-თურქეთის 1828-29 წლების ომის დროს გაჩნდა რეალური შესაძლებლობა ამ ტერიტორიების დასაბრუნებლად. ამ ომში პატრიოტული მოსახრებით, საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

რუსეთის ჯარმა აიღო ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი და არტანი და გენერალ ალექსანდრე ჭავჭავაძის სარდლობით ბაიაზეთის საფაშოც დაიკავა.

მაგრამ რუსეთის იმპერიის მესვეურებისა და ქართველი პატრიოტების პოზიციები ერთმანეთს მაინც არ ემთხვეოდა. ქართველებისთვის ეს ბრძოლა დაკარგული ტერიტორიების შემოერთებასა და ქართველი ხალხის გაერთიანებას ემსახურებოდა, რაც საქართველოს გაძლიერებას ნიშნავდა. იმპერიის წინაშე ასეთი ამოცანა არ იდგა. ხელისუფლების წარმომადგენლები მაჰმადიან მოსახლეობაში ნერგავდნენ შიშს ქრისტიანული მმართველობისადმი. ამ პროვოკაციის მიზანი ის იყო, რომ ქართველ მაჰმადიანებს დაეტოვებინათ თავიანთი სამშობლო და მათი თურქეთში გადახვეწით არ მომხდარიყო ქართველთა შეკავშირება.



სურ. 6.2.1.2.  
ალ. ჭავჭავაძე.



სურ. 6.2.1.3. ბაიაზეთი.

### წყარო 2

„1828 წლიდან მოყოლებული, როდესაც ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩაადგო, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა თავიანთი მამაპაპეული სამოსახლოთაგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს, გრაფმა პასკევიჩმა (მთავარმართველი) ქართველებს ლიხთიმერეთიდან იქ გადასახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხთაგან 30000 მცხოვრები ჩაასახლა... მესხეთში, სადაც 1828 წლამდე ქართველთა მოსახლეობა 90%-ს აღემატებოდა, 1830 წელს უკვე, რუს მოხელეთა წყალობით, უმრავლესობად სომეხნი იქცნენ“.

ი. ჯავახიშვილი.

### დავლება 2

1. იმსჯელე რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისა და საქართველოსთვის მესხეთ-ჯავახეთის შემოერთებას.
2. ტექსტისა და წყარო 2-ის მიხედვით შეაფასე მესხეთ-ჯავახეთის მიმართ რუსეთის კოლონიური პოლიტიკა.

1877 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის მორიგი ომი დაიწყო. საქართველოს მოსახლეობას აჭარის დაბრუნების იმედი გაუჩნდა. საქართველოსთან გაერთიანების აუცილებლობა აჭარელ ხალხსაც კარგად ესმოდა. ნიშანდობლივია აჭარელი თავადის, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის პოზიცია:

### წყარო 3

„ღმერთმა ქნას, რომ მალე დაიწყოს ომი, მე მზად ვარ, რომ მაშინათვე ჩემი ქვეყნის ქართველ შვილებს შევეურთდე და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგ ისე გახდეს“.

ქართველი მოღვაწეები საგანგებოდ მიუთითებდნენ, რომ აჭარის მოსახლეობა იმედის თვალთ შეჰყურებდა ისტორიულ სამშობლოსთან გაერთიანების პერსპექტივას, და რომ მათში ეროვნული თვითშეგნება დღითი დღე მატულობდა.

როგორც ვიცით, ოსმალეთის ძალმომრეობას ადგილობრივი მოსახლეობის იძულებითი გამაჰმადიანება მოჰყვა.



სურ. 6.2.1.4.

### წყარო 4

„სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალთს საქართველოში მცხოვრებთ, დღეს მაჰმადიანების სარწმუნოება უჭირავთ... დიდი ხნის განშორებულ ძმას ძმურადვე შეითვისებს, თავის-თავის და ლობიერ გულზე ძმას ძმურადვე მიიყრდნენ თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი“.

ილია ჭავჭავაძე.

### ეს საინტერესოა:

ამავე საკითხზე საგანგებოდ ჩერდებოდა იაკობ გოგებაშვილიც. დიდ პედაგოგს შეუ-რიგებელი პოზიცია ეკავა რელიგიურ საფუძველზე ეროვნული გაუცხოების მიმართ და აჭარელი მოსახლეობისადმი სათუთი დამოკიდებულების მაგალითს თვითონ იძლეოდა. მან მაჰმადიანი ყმაწვილებისათვის განკუთვნილი „დედა ენიდან“ ქრისტიანულ ღვთისმსახურე-ბასთან დაკავშირებული სიტყვები (ანგელოზი, საცეცხლური და სხვა) ამოიღო.



სურ. 6.2.1.5. იაკობ გოგებაშვილი.



სურ. 6.2.1.6. პირველი ქართული სკოლა ბათუმში.

აჭარის მოსახლეობასთან დამოკი-დებულება განსაკუთრებულ სიფა-ქიზეს მოითხოვდა. დიდი მნიშე-ნელობა ენიჭებოდა აჭარაში ზოგადად განათლებისა და ქართული ლიტერატურის გავრცელებას. ამ მამუ-ლიშვილურ საქმეს „ქართველთა შორის წერა-კითხ-ვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ასრულებდა. ხე-ლისუფლების მოქმედების საპირისპიროდ ქართველმა პატრიოტებმა ძალა და ენერგია არ დაიშურეს, რათა აჭარელ ხალხს საკუთარ სამშობლოში თავი უცხოდ არ ეგრძნო – „ერთი უპირველესი საქმე, რომელსაც „წერა-კითხვის საზოგადოება“ შეუდგა... იყო სახალხო სკოლის დაარსება ბათუმში“ (იაკობ გოგებაშვილი).

### წყარო 5

„საკითხი ნათელია, (ბათუმის) ოლქის ადმინისტრაციას მავნედ და შეუძლებლად მიაჩნია ქართველი მასწავლებლის მუშაობა და ქართული სკოლის არსებობა აჭარაში. ხელისუფლება ებრძვის და წინააღმდე-გობას უწევს ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას მაჰმადიანთა შორის“.

ს. სიგუა.

თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ქართველი მოღვაწეები აჭარაში განათლების გავრცელებას, კარგად ჩანს ბათუმის სკოლის მასწავლებლის მიხეილ შარაშიძის მოგონებიდან:

### წყარო 6

„ბათუმში გამგზავრებამდე, ილია ჭავჭავაძემ მიმიხმო ბინაზე და ასე დამარიგა: „ჩემი პირადი სურვილი იყო, რომ შენ ასეთ პასუხსაგებ ადგილზე გამეგზავნე, იმედია, რომ ნდობას გაამართლებ... გვანსოვდეს, რომ ქართველი მუსლიმანები ჩვენი ძმებია, მეტად ნიჭიერი, დინჯი დაკვირვებული და ზრდილობიანი ხალხია. ერთი უადგილოდ და ნაჩქარევად ნათქვამი სიტყვა მთელი წლობით დასწევს უკან ჩვენს საერთო საქმეს. იხმარე ყოველი ღონე, რომ მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახურო...“.

### დავლება 3

1. ტექსტისა და წყარო 3-ის მიხედვით იმსჯელე აჭარის მოსახლეობის ეროვნული პოზიციის შესახებ.
2. წყარო 4-ისა და რუბრიკა „ეს საინტერესოა“ მიხედვით იმსჯელე ქართველი მოღვაწეების სარწმუნოებრივი მრწამსის შესახებ.
3. ტექსტისა და წყარო 5-ისა და 6-ის მიხედვით იმსჯელე, რა მნიშვნელობა ჰქონდა აჭარაში ქართული სკოლის გახსნას.

## § 2. რუსული მმართველობა და საქართველოს კოლონიზაცია

ქართული სახელმწიფოების გაუქმების შემდეგ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა ჩამოაცილეს ქვეყნის მართვას. უმნიშვნელო თანამდებობები ერგოთ მხოლოდ თავად-აზნაურთა იმ ნაწილს, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში არ იყო შემჩნეული და ხელისუფლებისადმი შემრიგებლური პოზიცია ეკავა.

### წყარო 1

„რუს მოხელეებს მკვიდრთა მხარდაჭერისა და დახმარების გარეშე, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ ქვეყ-

ნის მართვა-გამგეობა. ისინი არ იცნობდნენ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს წეს-ჩვეულებებს, ჩვენი ხალხის ჭირ-ვარამს. არ იცნობდნენ მკვიდრთა მშობლიური ენა... ამიტომ (მმართველობაში) მრჩეველთა სახით დაშვებულ იქნა ქართველი თავადებიც. მათი მთავარი ფუნქცია იყო რუსი მოხელეების დაკავშირება ხალხთან, ასე რომ მმართველობის ხასიათსა და მოქმედებაზე მკვიდრთა მონაწილეობას რაიმე გავლენა არა ჰქონია...“.

მ. ლუმბაძე.

ამის მიუხედავად, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები ადგილობრივ მკვიდრთა მონაწილეობას მმართველობაში გაუმართლებლად თვლიდნენ.

იმპერიის უმაღლეს მოხელეთა ნაწილი კი შედარებით ობიექტურად აფასებდა კავკასიის მმართველობის ნაკლოვან მხარეებს.



სურ. 6.2.2.1. რუსი მოხელე, კარიკატურა.

**წყარო 2**

ფრაგმენტი გრაფ პოზენის მოხსენებიდან იმპერატორ ნიკოლოზ I-სადმი:

„ცვლილებები მმართველობით სისტემაში განხორციელდა მოსახლეობის ადამ-ჩვეულებათა და ცხოვრების ნორმების გაუთვალისწინებლად. მთელი მმართველობა ბარათების შედგენასა და ქალაქების უსასრულო გადაწერაში გამოიხატება. უკმაყოფილებას ზრდიდა გაჭიანურებული მართლმსაჯულება“.

**დავალება 1**

1. წყარო 1-ის მიხედვით იმსჯელე იმ მიზეზებზე, რის გამოც ქართველ თავადთა ნაწილი ჩართული აღმოჩნდა რუსულ მმართველობაში.
2. წყარო 2-ის მიხედვით იმსჯელე რუსული მმართველობის ნაკლოვან მხარეებზე.

საქართველო-კავკასიის მმართველობითი სისტემის საფუძვლიანი რეორგანიზაცია 1844 წელს განხორციელდა. გაუქმდა კავკასიის მთავარმართველის თანამდებობა, მისი ადგილი მეფისნაცვალმა დაიკავა.

**წყარო 3**


იმპერატორ ნიკოლოზ I-ის წერილი მეფისნაცვლისადმი:

„ყველა ის საქმე, რომელიც ამჟამად არსებული წესის მიხედვით, ამიერკავკასიის მთავარმმართველობის მიერ წარედგინებოდა გადასაჭრელად სამინისტროებს, უფლება გეძლევათ თქვენ თვითონ გადაჭრათ ადგილზე... ამას გარდა, ნება გაქვთ, სადაც საჭიროდ დაინახავთ, ადგილობრივად მიიღოთ აუცილებლობით გამოწვეული ყველა საჭირო ზომა და ამის შესახებ, ისევე როგორც მათ გამომწვევ მიზეზებზე, მომახსენოთ პირადად მე“.



სურ. 6.2.2.2. მ. ვორონცოვი.

კავკასიის პირველი მეფისნაცვალი გრაფი მიხეილ ვორონცოვი (1844-1854 წწ.) მოქნილი პოლიტიკოსი აღმოჩნდა. მისი აზრით, ადგილობრივ მოსახლეობასთან ძალისმიერი მეთოდებით მოპყრობა, მათი კულტურისა და ზნე-ჩვეულებების აბუჩად აგდება, ხალხს მტრულად განაწყობდა რუსული მმართველობისადმი. ვორონცოვი საჭიროდ თვლიდა ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხების ჩართვას რუსულ ადმინისტრაციაში და მათი გულის მოგებას სხვადასხვა დათმობების გზით. ვორონცოვის პოლიტიკის დედააზრი ის იყო, რომ არარუსი მოსახლეობის თვალში იმპერია წარმოჩენილიყო არა როგორც მათი წინსვლა-განვითარების დამაბრკოლებლად, არამედ პირიქით, მათი ინტერესების დამცველად.



**წყარო 4**

„ადგილობრივი მოსახლეობის დასამორჩილებლად და მისი გარუსებისათვის ვორონცოვს უწინარეს ყოვლისა საჭიროდ მიაჩნდა არა ადმინისტრაციულ, არამედ „კულტურულ“ ღონისძიებათა განხორციელება. ამ პრინციპის შესაბამისად მეფისნაცვალმა ნება დართო ადგილობრივ ქართული თეატრი, გაეხსნათ საჯარო ბიბლიოთეკა, გამოეშვათ გაზეთი და ა.შ. ადგილობრივ მოსახლეობაში რუსული ენის გავრცელების მიზნით ვორონცოვი სხვა ღონისძიებებთან ერთად ქართველ თავად-აზნაურთა შვილებს სასწავლებლად გზავნიდა ხოლმე მოსკოვისა და პეტერბურგის სასწავლებლებში... კავკასიის მეფისნაცვლის დიდი ამაგითა და ხელშეწყობით დაახლოებით 30 ათასი კაცი დამტკიცებულ იქნა თავადაზნაურულ წოდებაში, რასაც მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა“.

ი. ანთელავა.

### დავალბა 2

1. წყარო 4-ის მიხედვით შეუდარე ერთმანეთს მეფისნაცვლისა და მთავარმართველის ხელისუფლება.
2. ტექსტისა და წყარო 4-ის მიხედვით შეაფასე ვორონცოვის მმართველობა.
3. როგორ ფიქრობ, რამდენად პასუხობდა ქართველი ხალხის მოთხოვნას, საქართველოს ავტონომიის შესახებ, მეფისნაცვლისათვის „შეუზღუდავი ძალაუფლების“ მინიჭება? დაასაბუთე შენი მოსაზრება.

### ეს საინტერესოა:

საქართველოს რუსეთთან მჭიდროდ შეკავშირების მიზნით ხელისუფლება ცდილობდა ქართველი ხალხის გარუსებას. ამ პროცესის დასაჩქარებლად საქართველოში კოლონისტების ჩამოსახლება დაიწყო. პირველი კოლონისტები ყოფილი ჯარისკაცები იყვნენ. მათ „უცხო ხალხში“ უნდა დაენერგათ „მეტროპოლიის (იმპერიის) წესები, ჩვეულებები, ენა...“.

საქართველოში ასახლებდნენ რუს სექტანტებსაც: ღუხობორებს, მლაკნებსა და სხვებს. ისინი, ვეტერან სამხედროთა მსგავსად, ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაციის გეგმის განხორციელებაში იღებდნენ მონაწილეობას.

შემოერთებული ქვეყნებისადმი რუსეთს პოლიტიკურთან ერთად ეკონომიკური ინტერესიც ამოძრავებდა. მოსახლეობის მარცვის ერთ-ერთ საშუალებად იქცა მათზე დაკისრებული გადასახადები, რომლებიც იმდენად მძიმე იყო, რომ ხალხის აჯანყებებს იწვევდა. მაგრამ რუსეთის მიერ შემოერთებული ქვეყნები სიმდიდრით არ გამოირჩეოდნენ და, ამდენად, არც მათზე დაკისრებული გადასახადები აძლედა იმპერიას დიდ მოგებას.

### წყარო 5

„ამიერკავკასიის პროვინციები, რომლებსაც არც თუ უსაფუძვლოდ შეიძლება ვუწოდოთ ჩვენი კოლონიები, ჯერჯერობით არავითარ მოგებას არ გვაძლევენ და, რაც მთავარია, ჩვენ აქამდე, სხვადასხვა მიზეზის გამო, არავითარი ნაბიჯი არ გადაგვიდგამს, რომ გადავაქციოთ ისინი მდიდარი შემოსავლის წყაროდ“.

კონკრინი, რუსეთის ფინანსთა მინისტრი (1827წ.).

საქართველოს ეკონომიკის მთავარი დანიშნულება უნდა ყოფილიყო რუსეთის წარმოების მოძრავება სხვადასხვა იაფი ნედლეულით. ადგილობრივი მრეწველობის განვითარება კი ხელისუფლებისათვის არახელსაყრელი იყო.

### წყარო 6


„განა საქართველო ისე არ უნდა განვიხილოთ როგორც კოლონია, რომელიც დაამზადებს რა უხემ მასალას (აბრეშუმს, ბამბულს და სხვა) ჩვენი ფაბრიკებისათვის, რუსეთიდან ჩამოიტანს მანუფაქტურულ (ქარხნულ) ნაწარმს. საქართველოში მანუფაქტურების დაარსების შემთხვევაში კი დაირღვევა უკანასკნელის კავშირ-ურთიერთობა რუსეთთან“.

გრაფი პასკევიჩი, საქართველოს მთავარმართველი.

### წყარო 7

„ნაწარმის მრავალფეროვნება და სიმდიდრე ამიერკავკასიაში სულ მცირე შრომისა და უმნიშვნელო კაპიტალის (ფულის) დაბანდებით ძალიან დიდ მოგებას გვპირდება. ამიტომ უთუოდ საკმარისი იქნება, რომ მთავრობა დაკმაყოფილდეს მარტოოდენ მიწისმოქმედების წაქეზებით... რაც შეეხება ფაბრიკებისა და მანუფაქტურების შემოღებას, ეს წავგართმევდა დიდ ძალღონეს... ხელს შეუშლიდა რუსეთის მრეწველობასა და ვაჭრობას, რადგან ჩვენი ფაბრიკები მთავრობის ბრძნული წინასწარხედვის წყალობით ისე მომრავლდნენ, რომ პროდუქტების დამუშავება ძვირი არ ჯდება და შეუძლიათ მოიხმარონ აბრეშუმი, ბამბა, ზეთოვანი მცენარეულობანი, საღებავი ნივთიერებანი და ამიერკავკასიის სხვა მდიდარი ნაწარმოები“.

ბარონი ვანი.



სურ. 6.2.2.3. ბაზარი თბილისში.

### დავალბა 3

ტექსტისა და წყარო 5-ის, 6-ისა და 7-ის მიხედვით იმსჯელე, როგორ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებდა რუსეთი საქართველოში.

### დამოუკიდებელი სამუშაო

გამოთქვი ვარაუდი, რა შესაძლო შედეგები შეიძლება გამოეღო საქართველოში რუსულ მმართველობას.

**§ 3. „საგლეხო რეფორმა“**

ა) ბატონყმობის გაუქმების წინაპირობები

XIX საუკუნის შუა წლებისათვის ცხადი შეიქნა რუსეთის ეკონომიკური, სამეურნეო და სამხედრო ჩამორჩენილობა ევროპის მოწინავე სახელმწიფოებთან შედარებით.

იმპერატორი ალექსანდრე II კარგად ხვდებოდა, რომ რუსეთის შემდგომ განვითარებას ბატონყმობაზე დამყარებული ფეოდალური ურთიერთობები ვეღარ უზრუნველყოფდა. გერმანულ სახელმწიფოებში, ინგლისში, საფრანგეთში, ავსტრიასა და სხვა ქვეყნებში. ბატონყმობა უკვე დიდი ხნის გაუქმებული იყო. ამ სახელმწიფოებში წარმოებასა და მეურნეობაში დაქირავებულ მუშახელს იყენებდნენ.

ბატონყმობამ რუსეთშიც ამოწურა თავისი შესაძლებლობები, ამიტომ აქაც დადგა დღის წესრიგში მისი გაუქმება.

ბატონყმობის გაუქმებას სხვა მიზეზებიც განაპირობებდა. პირველ რიგში, ეს იყო უფლებაყრილი გლეხობის ბრძოლა თავისუფლებისათვის.

ხელისუფლება შეშფოთებით აცხადებდა, რომ გლეხების საპროტესტო გამოსვლები სულ უფრო მასშტაბური ხდებოდა.



სურ. 6.2.3.1. იმპერატორი ალექსანდრე II.

**წყარო 1**

ფრაგმენტი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ კოლუბიაკინის მოხსენებიდან:

„მანიფესტაცია გურიაში... ერთ-ერთი იმათგანია, რომელსაც აქ ხშირად მიმართავენ გლეხები გადახდასთან დაკავშირებით, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მანამდე გლეხებს საჩივრები... მოჰქონდათ ცალ-ცალკე; უკანასკნელი მანიფესტაცია კი, ოზურგეთის მაზრის გლეხებმა რომ მოაწვევეს უფრო ფართო მასშტაბისა იყო და თავის რიგებში ითვლიდა 200-მდე შეიარაღებულ კაცს...“.

**კითხვები**

1. ტექსტისა და წყარო 1-ია მიხედვით, რა მიზეზები განაპირობებდნენ ბატონყმობის გაუქმებას?
2. იმპერატორ ალექსანდრე II-ს ეკუთვნის გამოთქმა „სჯობს ბატონყმობა გავაუქმოთ ზემოდან, სანამ ის ქვემოდან არ გაუუქმებიათ“. როგორ გეხმის ამ სიტყვების დედაზრი?

განსაკუთრებით მძლავრი აღმოჩნდა სამეგრელოს გლეხთა აჯანყება.

**წყარო 2**

ფრაგმენტი აჯანყების მეთაურის, უტუ მიქვას, წერილიდან ქუთაისის გუბერნატორ კოლუბიაკინისადმი:

„ამ ერთ წლის წინათ ჩვენს ქვეყანას თურქთა ჯარი შემოესია (1856წ.), მტერმა გაანორწყალა ყველაფერი, რაც ხელში მოხვდა. შველა არსაიდან გვქონია; რუსის ჯარმა თავი დაგვანება, ხოლო ჩვენი ბატონები, იმის მაგივრად რომ დავეფარეთ, ბიჭებსა და გოგოებს გვტაცებდნენ და ოსმალებზე ჰყიდდნენ... ისინი წავიდნენ და ჩვენი ბატონები წინანდელზე უარესად მოგვდგნენ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთელი ჩვენი შრომის ნაყოფი იმათ რჩებათ; მათ რომ კაცმა ჰკითხოსთ გლეხს არაფერი უნდა ჰქონდეს, და რაც



სურ. 6.2.3.2. უტუ მიქვა, აჯანყების მეთაური.

რამ აბადია ყველაფერს არტყვიანობის მებატონე. სურ. 6.2.3.2. უტუ მიქვა, აჯანყების მეთაური. ვსთქვათ ბატონს მეზობლის მიმინო მოეწონა, ადგება და ერთ კომლ (ოჯახ) გლეხს მისცემს მასში; მწევარში ან მეტეარში რამდენიმე კომლს აძლევს. პირუტყვები უფრო ფასობენ, ვიდრე ადამიანები...“.

აჯანყებული გლეხები კონკრეტულ მოთხოვნებსაც უყენებდნენ ხელისუფლებას:



სურ. 6.2.3.3. ქართველი ყმა-გლეხი.

**წყარო 3**

„1) კაცის კაცი არ უნდა არსებობდეს, 2) აღიკვეთოს ყმებით ვაჭრობა, 3) აიკრძალოს გადასახადების თვითნებური გადიდება, 4) მიეცეს გლეხს ყველა ადამიანური უფლება, 5) დაწესდეს კანონზე დამყარებული მმართველობა მეზობლეთა განუკითხავი მმართველობის მაგივრად, 6) მოისპოს ტანჯვა-წვალების დღემდე არსებული მეთოდები...“.

დ. ლემონჯავა.

### დავლება 1

1. წყარო 2-ისა და 3-ის მიხედვით აღწერე ყმა-გლეხების მდგომარეობა.
2. შეადარე ერთმანეთს აჯანყებულ გლეხთა მოთხოვნები 1802-1832 წლების აჯანყებების მონაწილეთა მოთხოვნებს და განსაზღვრე სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ხასიათი.

საზოგადოების მოწინავე ნაწილი ადამიანის კაბალურ მდგომარეობაში ყოფნას უზნეობად თვლიდა. გლეხობის განთავისუფლების მოთხოვნით გამოდიოდა ქართველი ინტელიგენციის ახალი თაობა, რომელსაც „თერგდალეულებს“ უწოდებდნენ.

#### ეს საინტერესოა:

„თერგდალეულებად“ იწოდებოდნენ XIX საუკუნის 60-იან წლებში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული ახალგაზრდები. ესენი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი და სხვანი. მათ განათლება რუსეთის უნივერსიტეტებში ჰქონდათ მიღებული. რუსეთში წასასვლელად კი მდინარე თერგი უნდა გაეკვლიათ და არსებული ტრადიციით მისი წყალი დაეღიათ. თერგი მთის ბობოქარი მდინარეა, 60-იანი წლების ახალგაზრდებზე (მათ „სამოციანელებსაც“ და „შვილთა თაობასაც“ უწოდებდნენ) „ბობოქარ“ იღებეს აყენებდნენ: ქართული ენის რეფორმა და მშობლიური ენის პრიორიტეტი განათლების სფეროში, ბატონყმობის გაუქმება, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და სხვ.




სურ. 6.2.3.4. აკაკი წერეთელი.

სწორედ ამ „ბობოქარი იდეებისა“ და თერგის წყლის დაღვევის ტრადიციის გამო ეწოდათ ილია ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეებს „თერგდალეულები“.

ბატონყმობის სისასტიკის გმობას არც „ძველი თაობის“ წარმომადგენლები ერიდებოდნენ. პირველმა მის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა ცნობილმა პოეტმა რაფიელ ერისთავმა. მისი ლექსი „მოთხოვნელი მსაჯულისადმი“ სრული სიცხადით გადმოცემდა ბატონყმური წესწყობილების მანკიერებას, როდესაც არა მხოლოდ უფლებააყრილი ადამიანი იყო შეცოდების ღირსი, არამედ მებატონეც, რადგან სხვაზე შეუზღუდავი მბრძანებლობის უფლება მას ადამიანურ სახეს უკარგავდა და სასტიკ მჩაგვრელად აქცევდა.

ბატონყმობის გმობაა მოცემული დანიელ ჭონქაძის („სურამის ციხე“) და სხვა მწერალთა შემოქმედებაში. მაგრამ ყველაზე მკვეთრად ბატონყმობას, როგორც საზოგადოებისათვის ზნეობრივად საშიშ და მისი განვითარების დამაბრკოლებელ გარემოებას ილია ჭავჭავაძე გმობდა. ნაწარმოებებში: „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“, „აჩრდილი“, „კაცია ადამიანი“ და ა.შ. ილია ბატონყმობის უსამართლობას სრული სიცხადით წარმოაჩენდა და მკითხველსაც მისდამი ზიზღთან ერთად, სამართლიანობისათვის ბრძოლის ჟინს უღვიძებდა.

„თერგდალეულები“ ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ ბატონყმური უსამართლობის წინააღმდეგ და მის დაუყოვნებლივ გაუქმებას მოითხოვდნენ. საკუთარი იდეების საზოგადოებამდე მიტანისათვის მათ გამოსცეს ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (1863 წ.). ჟურნალის პირველსავე ნომერში დაიბეჭდა მისი დამაარსებლისა და რედაქტორის – ილია ჭავჭავაძის წერილი, რომელიც „თერგდალეულთა“ სოციალურ მრწამსს გადმოსცემდა.



### წყარო 4

„საზოგადოებაში ერთი ნაწილი რომ სულ არა შრომობდეს და სხვის შრომით ირჩენდეს თავსა და იმ შრომასაც რომ თავისუფლება არა ჰქონდეს... ეს მდგომარეობა ორივე ნაწილისათვის, მეტადრე მთელი საზოგადოებისათვის სენია... მე რომ ეხლა თავისუფალი კაცი არ ვიყო, ფეხებში ბორკილი გაყრილი მქონდეს, ხეირიანი შრომა, ცხადია, არ შემეძლებოდა... ჩემი ბატონიც რომ დარწმუნებული არ იყოს, რომ სხვისი შრომა აცხოვრებს, რასაკვირველია უფრო იმხნევებდა და თავისუფალ შრომას გასწევდა. რა გამოვიდა აქედამ? ჯერ ისა, რომ თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია, მეორე ისა, რომ მთელ საზოგადოებაში ყოველი კაცი უნდა იყოს მშრომელი თავისუფლად და, მაშასადამე, ნაყოფიერად. და თუ საზოგადოებაში ყოველი წევრი შრომობს, საზოგადოებაც კეთილ მდგომარეობაში შევა“.

ილია ჭავჭავაძე.

**დავალება 2**

წყარო 4-ის მიხედვით იმსჯელე იმ მნიშვნელობაზე, რომელსაც „თერგდალეულები“ ანიჭებდნენ „თავისუფალ შრომას“. რამდენად ეთანხმები მათ აზრს?



სურ. 6.2.3.5. ბატონყმობის გაუქმების გამოცხადება.

**ბ) ბატონყმობის გაუქმება**

1861 წელს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს ბატონყმობის გაუქმების შესახებ. ამ მანიფესტის ძალით რუსეთის გლეხობამ პირადი თავისუფლება მოიპოვა. ხელისუფლება არ ჩქარობდა საქართველოში „საგლეხო რეფორმის“ გატარებას. იმპერიისათვის ხელსაყრელი იქნებოდა, რომ ურჩობით გამორჩეული მოსახლეობის დიდი ნაწილი ისევ ყმურ მდგომარეობაში დარჩენილიყო. ბატონყმობის გაუქმება ქვეყნის ეკონომიკური წარმატების

საწინდარი უნდა გამხდარიყო. როგორც ჩანს, იმპერიის მესვეურები არც საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური მოღონიერებით იყვნენ დაინტერესებულნი. მაგრამ გლეხთა მასობრივმა გამოსვლებმა ხელისუფლება აიძულა საქართველოშიც გაეუქმებინა ბატონყმობა.

**ეს საინტერესოა:**

❖ „საგლეხო რეფორმა“ საქართველოში ერთდროულად არ გატარებულა. თბილისის გუბერნიაში ბატონყმობა 1864 წელს გაუქმდა, ქუთაისის გუბერნიაში – 1865 წელს. მოგვიანებით კი რეფორმა სხვა კუთხეებშიც განხორციელდა: სამეგრელოში – 1867 წელს, აფხაზეთში – 1869 წელს, ხოლო სვანეთში 1871 წელს.

❖ „საგლეხო რეფორმას“ თან ახლდა საქართველოში რიგი თავისებურებები. მათგან აღსანიშნავია ხელისუფლების გადაწყვეტილება, ყოველ განთავისუფლებულ გლეხზე ყოფილ მეპატრონეებს მიეღოთ საკომპენსაციოდ 25-დან 50 მანეთამდე.

თავად-აზნაურთა ნაწილმა ეს თანხა დროსტარებაში გაფლანგა. სხვებმა, ცნობილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით, „სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკში“ დააბანდეს ფული. მალე ბანკს ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა სათავეში. სათავადაზნაურო ბანკი მემამულეებს შეღავათიანი პირობით აძლევდა სესხს და ხელს უმართავდა მეურნეობის გასაფართოებლად და გასაუმჯობესებლად. ილიას ხელმძღვანელობით ბანკმა არაერთი მემამულე იხსნა გაკოტრებისაგან, სერიოზული ქველმოქმედება გაუწია ქართულ თეატრს, შურნალ-გაზეთებს, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, ხელმოკლე სტუდენტებს; სწორედ ამ ბანკის მესვეურებისა და სახელოვანი მეცნიერის, ივანე ჯავახიშვილის ღვაწლით აიგო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, სადაც 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში, გაიხსნა კიდევ პირველი უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში.



სურ. 6.2.3.6. „საადგილმამულო ბანკი“.

თავად-აზნაურთა ნაწილი ბატონყმობის გაუქმებას უარყოფითად შეხვდა, რადგან შიშობდა, რომ ყმური შრომის გამოყენების გარეშე მეურნეობას ვერ გაუძღვებოდნენ და გალატაკდებოდნენ.

მით უფრო მიუღებლად თვლიდნენ ისინი გლეხების განთავისუფლებას მიწიანად.

სხვაგვარად ფიქრობდნენ „თერგდალეულები“. მათი პოზიცია გადმოცემულია ლოკუმენტში – „კრიტიკული შენიშვნები“, რომლის ავტორადაც ისტორიკოსები ილია ჭავჭავაძეს თვლიან.

**წყარო 5**

ფრაგმენტები „კრიტიკული შენიშვნებიდან“:

„მემამულის უფლება მიწიდან აყვარა გლეხები „ყველაზე საშინელი და ყოვლად გაუმართლებელი უფლებაა, რომელიც მემამულეს ეძლევა. რაკი ასეთი საბაბი ექნება, მემამულე არ მოასვენებს გლეხს, აქაოდა ჩემი მეურნეობისა და კარმიდამოს კეთილმოწყობა და გაფართოება მსურსო. იგი დღენიდაგ იმას ეცდება, რომ აჰყაროს გლეხი საცხოვრებელი ადგილიდან, ან გაუდიდოს ბეგარა...“

თუკი რაიმე მიგვიცაით გლეხისათვის ნულარ აწუხებთ მას, დაე, თავის ნებაზედ მოიხმაროს რაც მიგვიცაით... მიეცით გლეხს იმედი, რომ იცხოვროს უშფოთველად, უდრტვინველად, ძალმომრეობის გარეშე.

რედაქციის დასრულება 2018 წლის 15 თებერვლით

„საგანგებო საქმე“

ასეთი იმედი თუ არა აქვს გლეხს, იგი ვერ იქნება ბედნიერი, მას არ ექნება თავისი ყოფა-ცხოვრების, თავისი მეურნეობის გაუმჯობესების ხალისი...

გლეხთა საკითხის გადაწყვეტა სულ სხვა საწყისს უნდა დაეფუძნოს – სახელდობრ გლეხისა და მემამულის ინტერესთა საბოლოო გათიშვის საწყისს: მათ შორის უნდა გაწყდეს ყველა ძაფი, რომელიც ნაბატონარსა და ნაყმევს იძულებით ერთმანეთს აკავშირებს... (სხვა შემთხვევაში) ეს იქნება მხოლოდ გაგრძელება, ოღონდ სახეშეცვლილი ფორმით, იმავე ბატონყმური მდგომარეობისა...“.

სახელმწიფო ინტერესები მმართველობას აიძულებდა, უარი ეთქვა თავად-აზნაურთა უმრავლესობის მოთხოვნაზე მიწის უპირობოდ მათ საკუთრებაში დატოვების შესახებ. რადგან ასეთ შემთხვევაში ყოფილ მებატონეს უფლება ექნებოდა გლეხისთვის მამული ჩამოერთმია ან თვითნებურად გაეზარდა გადასახადი; ეს კი გლეხობის ახალ მღელვარებას გამოიწვევდა. გლეხობის უმიწოდ განთავისუფლება ეკონომიკურადაც დააზარალებდა ქვეყანას, რადგან ლატაკი და უმამულო გლეხი ცუდი გადამხდელი იქნებოდა. ამიტომ ხელისუფლებამ კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო. მართალია, მიწა ისევ ყოფილ მებატონეს რჩებოდა, მაგრამ გლეხს განსაზღვრული გადასახადის გადახდის პირობით მიწით სარგებლობის შეუზღუდავი უფლება ენიჭებოდა, მემამულეს კი არც ამ გადასახადის გაზრდის უფლება ჰქონდა და არც გლეხისათვის ნადელის წართმევის. უფრო მეტიც, გლეხს შეეძლო დროთა განმავლობაში მიწა გამოესყიდა და მისი შესაკუთრე გამხდარიყო. გლეხობის ნაწილმა მართლაც შეძლო ნადელის გამოსყიდვა.

სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ დებულებას ბევრი ნაკლი აღმოაჩნდა. მოწინავე საზოგადოება მას მწავედ აკრიტიკებდა როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. ამის მიუხედავად, საგლეხო რეფორმას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ხალხებისათვის.

### წყარო 6

„ამიერიდან... გლეხობას შეეძლო შედარებით უკეთეს პირობებში წარემართა თავისი სამეურნეო საქმიანობა. არ იყო რა ძველებურად ხელფეხშეკრული, მას უფლება ჰქონდა ქონება შეეძინა და ის სურვილისამებრ გამოეყენებინა, გაემართა ვაჭრობა-მრეწველობა და მეურნეობის სხვა დარგი. გაძლიერდა გლეხის პირადი დაინტერესება, გაეზარდა მისი შრომის ნაყოფიერება. ბატონყმობის გაუქმებამ დააჩქარა საწარმოო ძალების განვითარება, ქვეყნის ეკონომიკის დაწინაურება...“.


ი. ანთელავა

### დავალბა 3

1. გამოთქვი შენი აზრი „საგლეხო რეფორმის“ დებულების შესახებ. მიუთითე, რომელია შენთვის მისაღები ან მიუღებელი პუნქტები.
2. შესწავლილი მასალისა და წყარო 6-ის მიხედვით შეაფასე ბატონყმობის გაუქმების მნიშვნელობა.

იმპერატორი ელექსანდრე II რეფორმატორი ხელისუფლის სახელით შევიდა ისტორიაში. სხვა რომ არაფერი, ბატონყმობის გაუქმებით მილიონობით ადამიანმა მოიპოვა პირადი თავისუფლება. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო იმპერატორის მიერ გატარებული სხვა ღონისძიებებიც, იქნებოდა ეს სოფლის ადგილობრივი მმართველობების შექმნა თუ ქალაქებისათვის ფართო თვითმმართველობის მიცემა და მოქალაქეებისათვის ქალაქის საბჭოსა და ქალაქის თავის არჩევის უფლების მინიჭება.

ისტორიკოსთა ნაწილი თვლის, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვანი სასამართლოს რეფორმა იყო. წინათ რუსეთში წოდებრივი სასამართლო არსებობდა – ერთსა და აიმავე დანაშაულზე ბატონი და ყმა სხვადასხვა სასჯელს იღებდა. „საგლეხო რეფორმამ“ ადამიანები კანონის წინაშე გაათანაბრა და ვეღარც სასამართლო შეინარჩუნებდა წოდებრივ ხასიათს. ასევე მნიშვნელოვანი იყო სასამართლოს დამოუკიდებლობა ხელისუფლებისაგან – წინათ სასამართლოს პოლიცია მართავდა. ახალი კანონით სასამართლოში საქმის განხილვა საჯარო ხდებოდა, ხოლო ეჭვმიტანილს ადვოკატი იცავდა. შეიქმნა „ნაფიც მსაჯულთა“ საბჭოებიც, რომლებშიც საზოგადოების წარმომადგენლები შედიოდნენ. ეჭვმიტანილისათვის საბოლოო ვერდიქტი „ნაფიც მსაჯულებს“ გამოჰქონდათ. მათ, სათანადო მტკიცებულებათა არარსებობის შემთხვევაში, ეჭვმიტანილის გათავისუფლებაც შეეძლოთ.



სურ. 6.2.3.7. სასამართლო სხდომა.



**წყარო 7**

„განაპირა მხარეებში და მათ შორის საქართველოში სასამართლო რეფორმა შეკვეცილი სახით გატარდა... მთავრობას შეუძლებლად მიაჩნდა კოლონიებში თავისი ადმინისტრაციის ყოვლისშემძლების შეზღუდვა, სამართლის წარმოების სფერო გადაეცა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არჩეული მოსამართლეებისა და ნაფიცი მსაჯულებისათვის“.

ა. ბენდიანიშვილი.

**წყარო 8**

„... ჩვენს სასამართლოში საჭიროზედ უსაჭიროესია ჩვენებური ენა, ვიდრე ეს ენა არ იქნება სასამართლოში საწარმოებელ ენად აღიარებული, მანამდე რიგიან სასამართლოს ვერ აღირსება ჩვენში კაცი, და მაშასადამე, სარგებლობის მაგიერ ის ვნების მეტს ვერაფერს მოიტანს...“.

ვახეთი „დროება“, 1880წ.

**კითხვები:**

1. რუსეთში გატარებული სასამართლო რეფორმის რომელი მხარე მიგაჩნია ყველაზე მნიშვნელოვანად? რატომ?
2. წყარო 7-ისა და 8-ის მიხედვით, რაში გამოიხატებოდა სასამართლო რეფორმის შეზღუდული ხასიათი საქართველოში?

**განმარტებები**

**მანიფესტაცია** – მასობრივი გამოსვლა ქუჩაში პროტესტის ნიშნად.

**კომპრომისი** – ურთიერთდათმობის გზით მიღწეული შეთანხმება.

**ნადელი** – აქ, ნაკვეთი.

**საწარმოო ძალები** – მუშებისა და წარმოების იარაღების ერთობლიობა.

**საჯარო** – საზოგადოებისათვის განკუთვნილი.

**ადვოკატი** – იურისტი, რომელიც დამცველად გამოდის.

**§ 4. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი**

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების მდიდარი გამოცდილება, თვითმყოფადი კულტურული და ლიტერატურული ტრადიციები, ხალხის პატრიოტული შემართება ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ძალით გასაშლელად. ამ მრავალმხრივ მემკვიდრეობასთან ერთად ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლას კონკრეტული მიზეზებიც განაპირობებდნენ.

**წყარო 1**

„თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკა ითვალისწინებდა ქართველი ხალხის უფლებების ყოველმხრივ შეზღუდვას როგორც მართვა-გამგეობის, ისე განათლების საქმეში... ქართველი ხალხი მოკლებული იყო მშობლიურ ენაზე საქმის წარმოებას სახელმწიფო დაწესებულებებში. ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან მეფის მთავრობა ყოველმხრივ ავიწროებდა ქართულ ენას სკოლებში, 90-იან წლებში კი ქართულ ენაზე სწავლებასთან ერთად ქართული ლაპარაკიც იკრძალებოდა. დევნას განიცდიდა ქართული პრესა, ქართული წიგნი, ქართული თეატრი, რომლებსაც ცარიზმის მოხელენი ბრალად დებდნენ „ეროვნული გრძნობების“ გაღვივებას. 1882 წელს ოფიციალურად აკრძალეს ქართველთა სამშობლოს სახელის „საქართველოს“ საჯაროდ ხსენება. ქართველი ხალხის ეროვნულმა ჩაგვრამ 80-90-იან წლებში უკიდურეს ზღვარს მიაღწია... ალექსანდრე მესამის მთავრობა სრულიად აღარ ცნობდა საქართველოს და კავკასიის რაიმე თავისებურებას. იგი აშკარად დაადგა ქართველი ხალხის სრული ძალდატანებითი რუსიფიკაციისა და ქართული კულტურის საბოლოო მოსპობის გზას“.

მ. გაფრინდაშვილი.

**დავალება 1**

1. წყარო 1-ის მიხედვით იმსჯელე, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების მიზეზებზე.
2. წყარო 1-ის მიხედვით დაახასიათე რუსეთის იმპერიის დამოკიდებულება სხვა ერების მიმართ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი

საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა ერისკაცებმა ქართველ ხალხს, მის ეროვნულ ცნობიერებას არ მისცეს საბოლოოდ ჩაძინების უფლება. პირიქით, საბრძოლველად განაწყვეს, რადგან კარგად ესმოდათ თავისუფლების, დამოუკიდებლობის არსი: მშობლიური ენის, ხელოვნების, მთელი კულტურის თავისთავადობის შენარჩუნება, მათი შეუფერხებელი, ბუნებრივი განვითარება, რაც მხოლოდ დამოუკიდებელი არსებობის პირობებში იყო შესაძლებელი.

ვითარების შესაბამისად, თერგდალეულები განმათავისუფლებელ მოძრაობას მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით გეგმავენ. ისინი თავიანთი მოღვაწეობის მთავარ ამოცანად „ჩვენი ვინაობის აღდგენას“ თვლიდნენ და მიაჩნდათ, რომ ამ იდეას უნდა დაქვემდებარებოდა ყოველი წამოწყება, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე.

**წყარო 2**

„ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, სანამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერ და კუთვნილ ადგილს არ დაიტერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზე უმძიმესი, ამაზე უსაჭიროესი არ აქვს ეხლანდელ საქართველოს შვილს. ყველამ ვისაც რა შეუძლია, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად უნდა იმოქმედოს... სკოლაა, ბანკია თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისკენ უნდა მიუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე კაცს ბანკის გამგებლად, თუ მასწავლებლად თუ სადმე სხვაგან, მაგ მიმართულების სასწორზე უნდა ავწონოთ. აი რისთვის უნდა მოემზადოს ჩვენი ყმაწვილკაცობა, მთელი ევროპის მეცნიერებითა და ფარხმლით აღჭურვილი“.

ი. ჭავჭავაძე.

პირველი რიგის ამოცანა, რაც თერგდალეულთა წინაშე იდგა, იყო ხალხის გამოფხიზლება, მასში იმპერიული მმართველობისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

**წყარო 3**

„ქართულ ლიტერატურას ერთი მოვალეობა აქვს: თვალი გამოაჭყეტიოს ხალხს, წარსული ისტორიული ცხოვრების მოგონებითა და განათლებული ხალხების გაცნობით გამოაღვიძოს, გააგებინოს, რომ ერთ წერტილზე გაჩერება დამლუპველია ხალხისათვის, რომ ვისაც სიცოცხლე სურს, ის ყველაზე პირველად ხელს უნდა ანძრევდეს, თავის თავს უნდა იცნობდეს, თავის სამშობლო ენას არ უნდა ივიწყებდეს...“.



გახეთი „დროება“, 1875 წელი.

**დავლება 2**

1. იმსჯელე იმ სავარაუდო მიზეზებზე, რომელთა გამოც თერგდალეულებმა უარი თქვეს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისათვის მზადებაზე.
2. წარო 2-ისა და 3-ის მიხედვით იმსჯელე XIX საუკუნის II ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათზე.
3. განსაზღვრე, თუ რატომ ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ წყაროებში ჩამოთვლილ სფეროებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებისათვის.

საქართველოს მოსახლეობას მხოლოდ ეროვნული საკითხის მოუგვარებლობა როდი აწუხებდა, ხალხს არანაკლებ ტანჯავდა ხელისუფლების უსამართლო და მძარცველური ეკონომიკური პოლიტიკაც.

**ეს საინტერესოა:**

ქართველი სამოციანელები ცდილობდნენ გამოენახათ ეკონომიკური განვითარების ისეთი გზა, რომელიც საქართველოს თავიდან ააცილებდა სოციალურ დაპირისპირებას.

წოდებრივი დაპირისპირების აღმოფხვრით თერგდალეულები, უპირველეს ყოვლისა, ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ქართველი ხალხის დარაზმვაზე ოცნებობდნენ. მათ იდეალს ერთიანი, ძლიერი, განუყოფელი სამშობლო წარმოადგენდა.

ბრძოლის მშვიდობიანი ფორმების აღიარებით, ი. ჭავჭავაძეს, თანამოაზრეებთან ერთად, სამშობლოს განთავისუფლება ეტაპობრივად წარმოედგინა. თავდაპირველად პოლიტიკური ავტონომიის მოპოვება მომავალში სრული დამოუკიდებლობის საწინდარი უნდა გამხდარიყო.

**კითხვა**


შენი აზრით, რატომ თვლიდნენ თერგდალეულები აუცილებლად ერის ერთიანობის შენარჩუნებას თავისუფლებისათვის ბრძოლაში?

თერგდალეულთა სამოქმედო პროგრამა ითვალისწინებდა ბრძოლას როგორც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ისე სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ.

**წყარო 4**

„კარგი რამ გახლავთ ეროვნებითის პრინციპის დამყარება ყოველ სფეროში, მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი ქვეყნის დაყენებისთვის ბედნიერების გზაზე. თუ მომეტებულად არა, იმოდენადვე მაინც საჭიროა ზრუნვა სოციალურ ცვლილებებზე, ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის გაუკეთესობაზე... მეორე მხრით, ეკონომიკურად აყვავება ქვეყნისა ხდება შეურყეველ ბურჟუაზ ეროვნების აღორძინებისა. ამ სახით ეს ორი დედაბოძი ხალხის ცხოვრებისა ერთმანეთს მხარს აძლევენ, ხელი ხელს არიან გადაბუღნი და მათი გაცალკეება ხერხს არ დააყრის არც ცალკე პირს, არც საზოგადოებას...“

ეროვნული მხარე ჩვენის არსებობისა უფრო ძლიერ გვტკიოდა, გვალბობდა, ვიდრე სოციალური, და ნათქვამია, რომ რაც უფრო მეტად სტკივა კაცს იმაზე უფრო ხშირად სჩივის, ხშირად ლაპარაკობს“.



ი. გოგებაშვილი.

სურ. 6.2.4.1.

ნიკო ნიკოლაძე.

**წყარო 5**

„ჩვენი აზრით ურიგო არ იქნებოდა, საქართველოს ეროვნული მისწრაფება გვერდზე გადადებულიყო, ხოლო თვით რუსეთის გარდაქმნის მოლოდინში ქართველი ხალხი გასცნობოდა... სოციალური წესწყობილების ძირითად პრინციპებს“.

ნ. ნიკოლაძე.

**დავალება 3**

1. წყარო 4-ის მიხედვით იმსჯელე ეროვნული და სოციალური საკითხის ურთიერთმიმართების შესახებ. შეაფასე წყაროში გამოცემული პოზიცია.
2. წყარო 4-ისა და 5-ის მიხედვით იმსჯელე ი. გოგებაშვილისა და ნ. ნიკოლაძის მოსაზრებების შესახებ. რომელი აზრი მიგაჩნია უფრო მისაღებად და რატომ?

**დამოუკიდებელი სამუშაო**

ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის გამოთქმა „ჯერ მაცოცხლე და შემდეგ გამაბედნიერე“. როგორ გესმის ამ გამოთქმის არსი? რამდენად სწორად მიგაჩნია საკითხის ასე დაყენება? წერილობით ჩამოაყალიბე საკუთარი პოზიცია.

**§ 5. თერგდალეულები და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა**

ა) თერგდალეულთა საგანმანათლებლო საქმიანობა.

თერგდალეულები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მომავალი თაობის განათლებასა და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. ამაში მთავარი როლი სკოლას უნდა შეესრულებინა.

სრულიად საპირისპირო მიზნებს უსახავდა სკოლას ხელისუფლება – „(საქართველოს) გარუსების მიზნით სკოლამ უნდა შეძლოს ახალგაზრდობის რუსული სულიერებით აღზრდა...“ (ფ. გერშელმანი). ამ ამოცანის შესატყვის ღონისძიებებს ატარებდა „კავკასიის სასწავლო ოლქი“ კ. იანოვსკის ხელმძღვანელობით. 1881 წლიდან, იანოვსკის ბრძანებით, პირველი კლასიდანვე სავალდებულო გახდა რუსული ენის სწავლება, დედა ენას კი ორიოდე გაკვეთილი ეთმობოდა, ისიც დღის ბოლოს.

**წყარო 1**

„იანოვსკის მიერ 1885 წელს გამოცემული მორიგი ცირკულარით ქართული ენა სავსებით განიდევნა სკოლიდან. დედაენის სწავლება საოჯახო საქმედ გამოცხადდა... იანოვსკის ანტიპედაგოგიური სისტემა სავალდებულო მდგომარეობაში აყენებდა არა მარტო რუსული ენის არმცოდნე ბავშვებს, არამედ ქართული ენის არმცოდნე რუს პედაგოგებსაც, რომლებიც გამოსავალს „მუნჯური მეთოდის“ შემოღებასა და დანერგვაში ეძებდნენ. „მუნჯური მეთოდი“ დიდ გასაჭირში აგდებდა მასწავლებლებს, ასახიჩრებდა მოსწავლეთა გონებასა და სულს, აჩლუნგებდა აზრსა და ენას...“



სურ. 6.2.5.1. თბილისის პირველი გიმნაზია.

ივანე აბაშიანი

მასწავლებელს უნოდ, ხელების, ფეხებისა და მთელი სხეულის მოძრაობით უნდა აეხსნა ბავშვისათვის ისეთი მოვლენები, როგორცაა ძაღლის ყეფა, ტანისამოსის გახდა, დაწოლა, წყლის გადასხმა... ყველაფერი ეს მასწავლებელს სასაცილო მდგომარეობაში აყენებდა და ასუსტებდა ბავშვების პატივისცემას მისდამი“.

მ. გაფრინდაშვილი.

ქართველი საზოგადოება მკვეთრად დაუპირისპირდა მშობლიურ ენაზე სწავლების აკრძალვას, როგორც მომავალი თაობის გადაგვარების საშიშროებას.

### წყარო 2

„ჩვენ რომ ვერ დაჟინებით უკანდაუხვევლად ვთხოვლობთ დედაენისათვის სრულს და დაუბრკოლებელ გზას სასწავლებელში, – ეგ მართო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის, კკითხულობთ და ვნატრობთ იმიტომაც, რომ უღედენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, არამედ გონების დაჩაგვრისა, დახშვისა, დათრგუნვისა...“.

ილია ჭავჭავაძე.

### კითხვები

1. ტექსტისა და წყარო 1-ის მიხედვით რა როლს აკისრებდა ხელისუფლება სკოლას?
2. შენი აზრით, რა მიზანს ემსახურებოდა „მუნჯური მეთოდის“ შემოღება სკოლებში?
3. წყარო 2-ის მიხედვით რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ თერგდალეულები მშობლიურ ენას?

### ეს საინტერესოა:

დიდი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია იაკობ გოგებაშვილს სახელმძღვანელოების – „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ გამოცემისას. „რაც მე დრო და შრომა მოვანდომე ჩემი სახელმძღვანელოების შედგენას და ხანგამომშვებით გაუკეთესებას, ათი იმდენი დრო და შრომა მომინდა მათი დაცვისათვის სხვადასხვა ცილისმწამებლებისაგან“, – წერდა იაკობი.

### წყარო 3

„კავკასიის სასწავლო ადმინისტრაციის ერთ-ერთ საზრუნავ საგანს მუდამ შეადგენდა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების განდევნა სკოლებიდან. ეს სახელმძღვანელოები უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის, მაღალი ზნეობის და ეროვნული თვითშეგნების სულისკვეთებით ზრდიდა მოსწავლე-ახალგაზრდობას... ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები იცავდა ქართულ ენას სკოლებში და ავრცელებდა ქართული ენის ცოდნას ახალგაზრდებში...“.

ს. სიგუა.

### დავალება 1

რუბრიკა „ეს საინტერესოა“ მიხედვით განსაზღვრე ის მოთხოვნები, რომლებსაც ხელისუფლება სასკოლო სახელმძღვანელოებს უყენებდა.

ქართველი ერის რუსიფიკაციის დასაჩქარებლად ხელისუფლება ცდილობდა, ბოლო მოეღო მისი ერთიანობისათვის. ისინი სვან და მეგრულ მოსახლეობას ოფიციალურად აცხადებდნენ არაქართველებად და ცდილობდნენ მათთვის დამწერლობის შექმნას, რასაც ქართველი ერის დაქსაქსვა უნდა გამოეწვია.

სვანეთის მოსახლეობა წინ აღუდგა ხელისუფლების სურვილს, რომ აქაურ სკოლებში ქართული ენა სვანურს შეეცვალა. სვანები ქართულის, როგორც მათი მშობლიური ენის, დაცვას თავიანთი ღირსების საქმედ მიიჩნევდნენ „ყოველი სვანი თავის დედა-ენად აღიარებს ქართულს“ (დაგდაშდგან გულან სვანი) – ლაკონურად და მტკიცედ გადმოსცემდნენ ისინი საკუთარ პოზიციას.

სვანეთში განცდილი მარცხის შემდეგ ხელისუფლებამ მეგრული დამწერლობის შექმნა განიზრახა. ამ საქმეში რუს მოხელეებს ზოგმა ქართველმაც აუბა მხარი. ზუგდიდელმა პედაგოგმა დათა აშორდიამ შეადგინა მეგრული ანბანი – „დედა ნინა“, რომელიც რუსულ დამწერლობას ემყარებოდა.

სამეგრელოში ოდითგანვე ქართული იყო სალიტერატურო და საეკლესიო ენა. სკოლებიდან მისი განდევნა ოდნავადაც არ პასუხობდა სამეგრელოს მკვიდრთა ინტერესებს, პირიქით, სწორედ აქაურმა მოსახლეობამ გასცა საკადრისი პასუხი ხელისუფლებას. პროტესტმა იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ მშობლები თავიანთ შვილებს სკოლებშიც კი აღარ ატარებდნენ.

### წყარო 4

„უძველესი დროიდან მოყოლებული ვერავითარმა ისტორიულმა შევიწროებამ და უბედურებამ ვერ შესძლო ქართული ენის მოსპობა სამეგრელოში და დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დამლევს რა საჭიროება არის ისეთი, რომ სურთ ქართული ენა გაამეონ... სკოლებიდან“.

ჟურნალი „მწყემსი“, 1892 წ.

**დავალება 2**

1. ტექსტისა და წყარო 4-ის მიხედვით შეაფასე საქართველოსთვის ხელისუფლების საგანმანათლებლო პოლიტიკის საშიშროება.
2. იმსჯელე, რა მნიშვნელობა ჰქონდა სვანი და მეგრელი მოსახლეობის ეროვნულ სულისკვეთებას ქვეყნისთვის.

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობის შემდეგ ხელისუფლება მის გამოყენებას ცდილობდა ქართველი ერის რუსიფიკაციის დასაჩქარებლად.

**წყარო 5**

„საქართველოს ეგზარქოსს, უპირველეს ყოვლისა უნდა ახსოვდეს, რომ ის ვალდებულია მთელი თავისი ენერგია მოახმაროს ქართველთა გარუსების საქმეს რელიგიურ საფუძველზე“.

ი. ვოსტოროვი, XIX საუკუნის სასულიერო პირი.

რუსიფიკატორული პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა საეკლესიო მსახურებიდან ქართული ენის განდევნა, ხოლო სამეგრელოსა და სვანეთის ეკლესიებში, ისევე როგორც იქაურ სკოლებში, ქართული ენის ჩანაცვლება ხდებოდა ადგილობრივი ენებით.

**წყარო 6**

„... მათ კიდევ სცადეს ზოგიერთ ეკლესიებში ღვთისმსახურების შესრულება მეგრულ ენაზე. მაგრამ მლოცველები ლანძღვა-გინებით იხსენიებდნენ მეგრულ ენაზე ლოცვების მთარგმნელთ...“.

დ. ლაბაშიძე, XIX საუკუნის სასულიერო პირი.

რუსეთის ხელისუფლების მიზანი იყო აფხაზეთი ეკლესიურად ჩამოეცილებინა საქართველოსთვის.

**წყარო 7**

„ჩვენ აუცილებლად ვთვლით იმ სახის გადამჭრელი ღონისძიებების გატარებას, რომელიც სოხუმის ოლქის ეკლესიას დაიცავს საქართველოს გავლენისაგან, რაც აფხაზეთის მცხოვრებთა გაქართველებამდე მიგვიყვანს: ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, რომ სოხუმის ეპარქიას სათავეში ედგას რუსი ეპისკოპოსი და რუსული სამღვდელეობა და საეკლესიო მსახურება მიმდინარეობდეს მხოლოდ რუსულ ენაზე“.

ფ. გერშელმანი.


ეგზარქოსმა პავლემ თბილისის სემინარიაში აკრძალა ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის სწავლება, დაითხოვა ქართველი მასწავლებლები და „ურჩობაში“ შემჩნეული სტუდენტები. სასწავლებლიდან გარიცხულმა იოსებ ლალიაშვილმა მოკლა სემინარიის რექტორი ჩუღეცკი. მის დაკრძალვაზე ეგზარქოსმა პავლემ ქართველი ხალხი დაწყევლა. სასულიერო პირის მხრიდან ასეთ საქციელს ხალხის აღშფოთება მოჰყვა.

**წყარო 8**

„... ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც თქვენ მოწოდებული ხართ სამწყსოდ და რომელიც ამის გამო მოელოდა თქვენგან მართლოდენ სიყვარულსა და სათნოებას... თქვენი ღირსების გადარჩენა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ შემაჩვენებელი დაუყოვნებლივ განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან“.

დ. ყიფიანი.

ღიმიტრი ყიფიანს, როგორც არაერთი ეროვნული საქმის ორგანიზატორს, ხელისუფლება ისედაც უნდობლად ეკიდებოდა. ეგზარქოსისადმი მისი წერილი კი, კავკასიის მმართველთა აზრით, ხალხში საპროტესტო განწყობას ზრდიდა და რუსეთის იმპერიის ავტორიტეტს ლახავდა. 1886 წელს დ. ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც ხელისუფლების აგენტებმა იგი ვერაგულად მოკლეს. მთაწმინდის პანთეონში მისი დაკრძალვა დიდ ეროვნულ დემონსტრაციად იქცა.



სურ. 6.2.5.3. ღიმიტრი ყიფიანი.

**დავალება 3**

1. ტექსტისა და წყარო 5-ის, 6-ისა და 7-ის მიხედვით იმსჯელე, როგორი პოლიტიკური და ეროვნული პოზიცია ჰქონდა საქართველოს საეგზარქოსოს.
2. ტექსტისა და წყარო 8-ის მიხედვით შეაფასე ეგზარქოს პავლეს მოქმედება.
3. შენი აზრით, რატომ ცდილობდა ხელისუფლება ეკლესიის გამოყენებას ხალხის დაქსაქსვისა და რუსიფიკაციისათვის?

რედაქციის მდიანი ნინო ჯაფარიძე

დაამუშავა ნინო ჯაფარიძე



სურ. 6.2.5.4. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობა.

როვას, ვ. აბაშიძის, ნ. გაბუნias, კ. მესხის, ლ. მესხიშვილისა და სხვათა შემწეობით, ეროვნული მოძრაობის მნიშვნელოვან ასპარეზად იქცა.

ბ) განათლების, პრესა და ხელოვნება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსახურში.

ქართველმა მოღვაწეებმა 1879 წელს დააარსეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. თავდაპირველად მას სათავეში დიმიტრი ყიფიანი ედგა, შემდეგ – ილია ჭავჭავაძე. ამ საზოგადოების აქტიური წევრები იყვნენ: იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, რაფიელ ერისთავი, ნიკო ცხვედაძე და სხვანი. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიზანი იყო დაეარსებინა კერძო სკოლები, რომლებშიც, ოფიციალური სასწავლებლებისაგან განსხვავებით, ყმაწვილები მშობლიურ ენაზე ისწავლიდნენ. ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად, არაერთი ქართულენოვანი სკოლა გაიხსნა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ასეთი სკოლების დაარსებას სამეგრელოში, სვანეთში და ახლად შემოერთებულ აჭარაში, სადაც რუსული მმართველობა საფრთხეს უქმნიდა ქართველი ხალხის ეროვნულ მთლიანობას.

ეროვნულ დაწესებულებად იქცა ი. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით შექმნილი „დრამატული საზოგადოება“. აღორძინებული ქართული თეატრი, გამოჩენილი მსახიობების: მ. საფაროვი, გამოჩენილი მსახიობების: მ. საფაროვი

**წყარო 9**

„სცენა იგივე სკოლაა, რომელიც ცხოველი სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა, იგი კაცის გუნებაზე უფრო მეტად მოქმედებს, ვიდრე სხვა რამე... სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის აღმზრდელი უნდა იყოს...“

... (სცენა) ადგილია, სადაც ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმაოა, რომ კაცმა თავი გამოიღოს, თორემ თეატრს ხომ სხვა ბევრი სიკეთეც მოსდევს“.

ი. ჭავჭავაძე.

**წყარო 10**

ფრაგმენტი მწერალ ეკატერინე გაბაშვილის მოგონებიდან:


„დღესაც თვალწინ მიდგას ის სცენა, როდესაც ხიმშიაშვილი... შეუდარებელი გმირობით ეუბნება შაჰს სამსახურზე უარს... რა გამბედაობა იყო ამ საქციელში. რა გვარად იმოქმედა დროთა ბრუნვით დაჟინებულ და ყოველგვარი საკუთარი აზრის უქონელ მაშინდელ ქართველობაზე... როდესაც მესამე მოქმედებაში მეტეხის დარბაზში საბრძოლველად გამზადებული გმირები დროშაზე სამშობლოსათვის თავის გაწირვის ფიცს სდებენ. საკვირველი იყო ეს წამი და სწორედ სასწაულმოქმედებად აღიბეჭდა მსმენელზე. მთელი საზოგადოება... ფეხზე ადგა და სასოებით განმსჭვალული მზად იყო მუხლი მოედრიკა ეროვნული დროშის წინ“.



სურ. 6.2.5.5. სცენა სპექტაკლიდან „სამშობლო“.

**დავალება 4**

1. იმსჯელე „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ შექმნის მნიშვნელობაზე.
2. წყარო 9-ისა და 10-ის მიხედვით იმსჯელე, თუ რატომ ანიჭებდნენ ქართველი მოღვაწეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას თეატრალურ ხელოვნებას.



ხალხის გამოფხიზლების საშუალებად იქცა პრესა. მეფისნაცვალ ვორონცოვის თანხმობით დაარსებულ ჟურნალ „ცისკარში“ ძირითადად ლიტერატურული ნაწარმოებები იბეჭდებოდა. სწორედ „ცისკარის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი თუ უცხოელი მწერლების მხატვრული ნაწარმოებები. მაგრამ ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალის გამოცემა საკმარისი აღარ იყო იმ რთული ამოცანის გადასაწყვეტად, რაც ხალხში ეროვნული სულისკვეთების გაღვივებას და თავისუფლებისათვის საბრძოლველად მოსახლეობის დარაზმვას გულისხმობდა.

ამ მიზნებს ემსახურებოდა ახალი ქართული ჟურნალ-გაზეთები: „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „ივერია“, „მწყემსი“ და სხვა.

ქართული პრესა და საზოგადოებრივი აზრი მძაფრ წინააღმდეგობას აწეებოდა ხელისუფლების მხრიდან. ცენზურა მკაცრ კონტროლს აწესებდა როგორც პერიოდულ, ისე დრამატულ და ლიტერატურულ გამოცემებზე. კონტროლს ექვემდებარებოდა თვით ცენტრალური (რუსული) გაზეთებიც,

რომლებიც მეტი თავისუფლებით სარგებლობდნენ.

ცენზურის მიერ აკრძალულ მასალებში ხშირია ისტორიული ხასიათის წერილები. გაზეთ „ივერიაში“ დასაბეჭდად მიტანილი ერთ-ერთი სტატიიდან ცენზორს საგანგებოდ გადაუშლია ის სტრიქონები, რომელიც რუსული მმართველობისთვის სასიფათოდ მიუჩნევია:

**წყარო 11**  
ფრაგმენტი ცენზორის მიერ დაწუნებული სტატიიდან:  
„დედა-მიწის ზურგზე დღესაც იპოვით ისეთ ერებს, რომლებსაც დაუცავთ თავიანთი განსაკუთრებული ხასიათი და თვისება; ეს ერნი უბევლესნი არიან და განსაკუთრებულის ცხოვრებით უცხოვრიათ და ამიტომაც იგი ხასიათით უფრო მკვიდრია, მით უფრო დიდ წინააღმდეგობას უწევს რომელსაჲე მოპირდაპირე ძალას...“.

იზღუდებოდა დრამატული ნაწარმოებების პუბლიკაცია და დადგმა. საცენზურო კომიტეტის მიერ გამოყოფილი სპეციალური პირი თვალყურს ადევნებდა თეატრალურ წარმოდგენებს. შემუშავებული იქნა საგანგებო მოთხოვნები, რომლის დაკმაყოფილება აუცილებელი იყო სპექტაკლის დასადაგმელად.

**წყარო 12**  
ფრაგმენტი საცენზურო კომიტეტის მიერ გამოცემული ბრძანებიდან:  
„1. კრებებსა და წრეებს ყოველი სპექტაკლის მოსაწყობად ადგილობრივი პოლიციისათვის უნდა ეთხოვათ ნებართვა; 2. კლუბებისა და წრეების სცენებზე არ დაშვებულიყო ცენზურისაგან ნებადაურთველი სპექტაკლების დადგმა; 3. სცენებზე მოთხოვნების, ლექსების და ა.შ. წაკითხვის, აგრეთვე, ლიტერატურული საღამოების გამართვის უფლება უშუალოდ საცენზურო კომიტეტის მზრუნველს გადაეცა; 4. პოლიციის წარმომადგენლისათვის რეპეტიციებისა და წარმოდგენების დროს გამოყოფილიყო სავარძელი, ცენზურისაგან დაშვებული ნაწარმოების უცვლელად შესრულებაზე მეთვალყურეობისათვის...“.

**კითხვები**

1. რა ამოცანებს უსახავდნენ თერგდალეულები პერიოდულ გამოცემებს?
2. როგორი იყო ხელისუფლების დამოკიდებულება პრესისა და, ზოგადად, განსხვავებული აზრისადმი?
3. შენი აზრით, რატომ მიიჩნია ცენზორმა სასიფათოდ წყარო 11-ში მოცემული ტექსტის გამოქვეყნება?
4. წყარო 12-ის მიხედვით, როგორი იყო ხელისუფლების დამოკიდებულება თეატრებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიმართ?

**დამოუკიდებელი სამუშაო**  
დაწერე ესე, რომელშიც იმსჯელებ განათლების, პრესისა და ხელოვნების როლზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების პოპულარიზაციისთვის.

**განმარტებები**

**ცირკულარი** – წერილობითი განკარგულება.  
**რექტორი** – აქ, სემინარიის ხელმძღვანელი.  
**ცენზურა** – სახელმწიფოს მეთვალყურეობა ბეჭდვით სიტყვაზე ან საჯარო გამოსვლებზე.  
**პერიოდული გამოცემები** – ჟურნალ-გაზეთები.

აღიარებულია სულენაშვილის მიერ


თარგმანი

### § 6. საქართველო XX საუკუნის დასაწყისში

ა) რუსეთის იმპერიის დამხობა

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე რუსეთის იმპერიაში რამდენიმე პოლიტიკური გაერთიანება შეიქმნა. საზოგადოებრივ ასპარეზზე ყველაზე ადრე სოციალ-დემოკრატები გამოვიდნენ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიზანი იყო არსებული წყობილების დამხობა და სოციალიზმის დამყარება.

#### ეს საინტერესოა:



სურ. 6.2.6.2. კარლ მარქსი.

სოციალისტები ყოველგვარი უსამართლობის საფუძვლად კერძო საკუთრებას თვლიდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ კერძო საკუთრების არსებობა უკვე თავისთავად გამორიცხავდა „თანასწორთა საზოგადოების“ შექმნის შესაძლებლობას. ამიტომ ისინი კერძო საკუთრების სახელმწიფო საკუთრებით შეცვლას მოითხოვდნენ და ეს რევოლუციის გზით წარმოედგინათ.


სოციალიზმის, როგორც „თანასწორთა საზოგადოების“ შექმნის იდეას, დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ XIX საუკუნის ბოლოსთვის ის განსაკუთრებით პოპულარული გახდა. ამაში დიდი როლი შეასრულეს გერმანელმა (წარმოშობით ებრაელმა) სწავლულებმა – კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა, რომლებმაც სოციალიზმის თეორია დახვეწეს და მისი დამყარების გზებიც შესთავაზეს საზოგადოებას. სოციალიზმის იდეას მხარს უჭერდნენ მუშები და გლეხთა საკმაოდ დიდი ნაწილი. მათი ეკონომიკური მდგომარეობა მძიმე იყო და ხშირად მათი პოლიტიკური უფლებებიც იზღუდებოდა. რუსეთში სოციალისტური მოძღვრების შემომტანი გიორგი პლესანოვი იყო. სოციალისტები მალე საქართველოშიც გაჩნდნენ და XIX საუკუნის ბოლოსთვის პირველი იატაკქვეშა გაერთიანებებიც შექმნეს.

#### კითხვები

1. როგორ გესმის სოციალიზმის არსი? რა არის მისი ძირითადი მოთხოვნა?
2. შენი აზრით, რამ გამოიწვია სოციალისტური იდეების პოპულარობა რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში?

მოგვიანებით სოციალ-დემოკრატიული პარტია ორ ნაწილად გაიყო: ბოლშევიკები (უმრავლესობა), ლენინის ხელმძღვანელობით, სოციალიზმის დამყარებას არსებული მომენტისთვის სავსებით შესაძლებლად თვლიდნენ და რევოლუციას გეგმავდნენ; მენშევიკები (უმცირესობა), რომლებსაც გ. პლესანოვი ხელმძღვანელობდა, ასევე რევოლუციონერები იყვნენ, მაგრამ, მათი აზრით, რუსეთში მხოლოდ დემოკრატიული მმართველობის განმტკიცებისა და ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების შემდეგ, რეფორმების გზით, გახდებოდა შესაძლებელი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა.

საქართველოში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. აქ მეტი მხარდაჭერით „მენშევიკები“ სარგებლობდნენ, რომელთა ლიდერი ნოე ჟორდანიას იყო.



სურ. 6.2.6.3. გ. პლესანოვი.

#### ეს საინტერესოა:



სურ. 6.2.6.4. ვ. წერეთელი.

სოციალ-დემოკრატები უგულვებელყოფდნენ ეროვნულ საკითხს, რომელიც ძლიერ აწუხებდა საქართველოს მოსახლეობას. მათი ასეთი პოზიცია სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა თერგდალეულებისათვის. თერგდალეულები კერძო საკუთრების მოსპობას არ უჭერდნენ მხარს; ისინი მოითხოვდნენ მის სამართლიან გადანაწილებას. მათი აზრით, სოციალიზმი მოსპობით ემუქრებოდა ყოველგვარ ინდივიდუალიზმს და საზოგადოებას უფრო მო, უშინაარსო, ერთფეროვან ბრბოდ გადაქცევას უქადა.

#### წყარო 1

„არა მეთქი, ეგ მიდრეკილება (სოციალიზმი) ცხოვრების წინააღმდეგია და ამის გამო მაგნაირს მიდრეკილებას დიდი ხანი არ უნდა ჰქონდეს. თვითონ ბუნების ძირითადი თვისება ეწინააღმდეგება მაგნაირს მიდრეკილებას... მხოლოდ მრავალფეროვნებას მოაქვს ერთმანეთის განახლება, ერთმანეთის წინ წაყენება, ერთმანეთის გამხვნეება საუკეთესო მაგალითებით...“.

„დღეს რომ პოლიტიკურ მონობაში ვართ, კოსმოპოლიტური სოციალური პრინციპი ყელში დანას გვი-

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

თერგდალეულები



ყრის და ჩვენს ლეშზე რუსი ხალხი გაიდებს მუცელს...“.

გ. წერეთელი, მწერალი და პუბლიცისტი.

**დავლება 1**

იმსჯელე თერგდალეულებისა და სოციალისტების დაპირისპირების მიზეზებზე. გამოთქვი საკუთარი პოზიცია სადაო საკითხების შესახებ.

საქართველოში ჩამოყალიბდა სოციალ-ფედერალისტური პარტია. ისიც სოციალიზმის დამყარებისაკენ ისწრაფოდა, მაგრამ სოციალ-დემოკრატებისაგან განსხვავებით, ეროვნულ საკითხს წინა პლანზე აყენებდა და იბრძოდა საქართველოსთვის ფართო ავტონომიური უფლების მინიჭებისათვის.

ეროვნულ-დემოკრატები სოციალისტები არ იყვნენ. ისინი საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების საფუძვლად კერძო საკუთრებას თვლიდნენ. თუმცა არსებულ ვითარებას როდი ეგუებოდნენ. გაბატონებულ სოციალურ უსამართლობას მკაცრად გმობდნენ და საკუთრების ხელახალ გადანაწილებას ითხოვდნენ. ეროვნულ-დემოკრატებისათვის მთავარი ეროვნული საკითხის მოგვარებისათვის ბრძოლა იყო – ისინი მოითხოვდნენ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენას.

**დავლება 2**

1. შესწავლილი მასალის საფუძველზე იმსჯელე საქართველოში მოქმედი პარტიების პროგრამულ ამოცანებზე, მიუთითე მათ შორის არსებულ მსგავსებასა და განსხვავებაზე.
2. დაიყავით ჯგუფებად და წარმოადგინეთ რომელიმე პარტიის სამოქმედო პროგრამა.

1914 წელს პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. ბრძოლა ორ სამხედრო-პოლიტიკურ ბანაკს შორის წარმოებდა. „სამთა კავშირს“ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და თურქეთი ქმნიდა. „ანტანტა“ („გულითადი კავშირი“) წარმოდგენილი იყო ინგლისით, საფრანგეთითა და რუსეთით.

ისტორიკოსები თვლიან, რომ ომის დაწყების მთავარი მიზეზი იყო მე-ბრძოლ მხარეთა სურვილი, ხელახლა გადაენაწილებინათ კოლონიური სამყარო. ასეთი სურვილი, პირველ რიგში, გერმანიის მესვეურებს ამოძრავებდათ, რადგან ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის კოლონიურ იმპერიათა ფონზე მათი სამფლობელოები მოკრძალებულად გამოიყურებოდა.

ომი ხანგრძლივი აღმოჩნდა. მას აქამდე არნახული მსხვერპლი და ნგრევა მოჰყვა. ომის საშინელება სრულად განიცადა საქართველოს მოსახლეობამ. თურქეთის ომში ჩართვამ კი საქართველო ფრონტისპირა ქვეყნად აქცია.

საწყის ეტაპზე რუსეთმა შეძლო გერმანელთა შეტევების მოგერიება, მაგრამ წარმატება დროებითი აღმოჩნდა. იმპერიის სუსტმა ეკონომიკამ ვერ გაუძლო გაჭიანურებულ ომს; ჩამორჩენილი მრეწველობა ვერ ახერხებდა საჭირო რაოდენობის საბრძოლო იარაღის დამზადებას. აურაცხელი მსხვერპლი და ნგრევა, დაკარგული ტერიტორიები, შიმშილი და ხელისუფლების უუნარობა, გამოესწორებინა შექმნილი მდგომარეობა, სულ უფრო ზრდიდა ხალხის უკმაყოფილებას იმპერატორისა და მისი მთავრობისადმი.



სურ. 6.2.6.5. იმპერატორი ნიკოლოზ II.

**წყარო 2**

„ომი პოპულარული ვერ იქნება რუსეთის მივარდნილ მხარეებში, სადაც ხალხისათვის რევოლუციური იდეა უფრო გასაგებია, ვიდრე გერმანელებზე გამარჯვების საჭიროება“.

ნ. მაკლაკოვი, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი.


საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები განსხვავებულად ჰვრეტდნენ ქვეყნისათვის მსოფლიო ომის მოსალოდნელ შედეგებს. სოციალ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების ერთი ნაწილი საქართველოს ავტონომიისა თუ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ომში რუსეთის დამარცხებას უკავშირებდა.

**ეს საინტერესოა:**

ბოლშევიკები ჯარისკაცებს მოუწოდებდნენ, რომ მონაწილეობა არ მიეღოთ ხელისუფლების მიერ გაჩაღებულ ომში, რომლის მიზანი ხალხის მარცვა და მისი საბოლოო დამონება იყო. მათი აზრით, მსოფლიო ომი სამოქალაქო ომში უნდა გადაზრდილიყო, რასაც იმპერატორის მმართველობის დამხობა და სოციალისტური წყობილების დამყარება მოჰყვებოდა.

რედაქციის ხელნაწილი

საქართველო XX საუკუნის ისტორია



პოლიტიკურმა კრიზისმა პიკს 1917 წლის თებერვალში მიაღწია. პატერბურგში რევოლუცია დაიწყო. ხელისუფლება სრულიად უძლური აღმოჩნდა გაენეიტრალებინა სიტუაცია. იმპერატორი ნიკოლოზ II და მისი მთავრობა გადადგა. ხელისუფლება დროებითი მთავრობის ხელში გადავიდა. რუსეთი რესპუბლიკად, ხოლო მმართველობის ფორმად დემოკრატია გამოცხადდა.

### წყარო 3

„რევოლუციის გამარჯვებას მთელი რუსეთი აღფრთოვანებით შეხვდა. იგი მსოფლიოს ყველაზე დემოკრატიულ სახელმწიფოდ იქცა“.  
ფ. ლომაშვილი.

სურ. 6.2.6.6. 1917 წ. თებერვლის რევოლუცია.

### დავლება 2

1. იმსჯელე პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ძალებზე და მისი გაჩაღების სავარაუდო მიზეზებზე.
2. იმსჯელე ომში რუსეთის დამარცხების მიზეზებზე და ამ დამარცხების შედეგებზე.
3. შენი აზრით, რამდენად შეეძლო წყარო 2-ში აღწერილ ფაქტს გავლენა მოეხდინა ომში რუსეთის ხვედრზე? დაასაბუთე შენი პოზიცია.
4. იმსჯელე პოლიტიკური პარტიების პოზიციაზე რუსეთის მიმართ. შენ რომელ აზრს დაუჭერდი მხარს? დაასაბუთე საკუთარი მოსაზრება.

ბ) საქართველო რუსეთის რევოლუციის შემდეგ.

დემოკრატიულ რევოლუციას მხარდაჭერა გამოუცხადა რუსეთისა და საქართველოს ყველა პოლიტიკურმა პარტიამ, გარდა ბოლშევიკებისა. ლენინსა და მისი თანამოაზრეებს მიაჩნდათ, რომ რევოლუცია მეფის ხელისუფლების დამხობითა და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნით არ უნდა დასრულებულიყო. ისინი რევოლუციის მთავარ მიზნად სოციალისტური წყობილების დამყარებას თვლიდნენ. ამიტომ ბოლშევიკებმა დროებითი მთავრობისადმი თავიდანვე მტრული პოზიცია დაიკავეს და ხალხს მისი დამხობისაკენ მოუწოდებდნენ.

ქართველი პოლიტიკოსები იმედოვნებდნენ, რომ რუსეთის რევოლუციას იმპერიის ძირეული გარდაქმნა მოჰყვებოდა, რაც, დემოკრატიული მმართველობისა და სოციალური სამართლიანობის დამყარებასთან ერთად, საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ ინტერესებსაც დააკმაყოფილებდა.

ჯერ კიდევ 1912 წელს სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი ვარლამ გელოვანი რუსეთის სათათბიროს ერთ-ერთ სხდომაზე თავის მოხსენებაში საგანგებოდ მიუთითებდა, რომ მისი მთავარი ამოცანა საქართველოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლა იყო.

### წყარო 4

„ცარიზმის ბიუროკრატია, 1801 წელსვე დაარღვია რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და მოქმედებდა არა როგორც მფარველი. ასი წლის პოლიტიკა ნათლად მოწმობს, რომ ქართველებს ცარიზმის ბიუროკრატის იმედი არ უნდა ჰქონდეს... დღევანდელი მართვა-გამგეობა არ ეთანხმება ჩვენს ხალხში მომწიფებულ პოლიტიკურ მოთხოვნებს... პოლიტიკური ავტონომია, როგორც მშრომელს, ისე მთელ ხალხს თავისუფალი განვითარების გზაზე დააყენებს“.

ანალოგიური იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოთხოვნები, იმ განსხვავებით, რომ პოლიტიკურ თავისუფლებასთან ერთად, ისინი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასაც მოითხოვდნენ.

### ეს საინტერესოა:

საქართველოს სასულიერო პირებისა და საზოგადოების მრავალწლიანმა ბრძოლამ ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის შედეგი გამოიღო. 1917 წელს რუსეთის დროებითი მთავრობა იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო, – გაეუქმებინა ევზარქოსის თანამდებობა და ეცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. დამოუკიდებლობა აღდგენილი ეკლესიის პირველ კათალიკოს-პატრიარქად კირიონ II (საძაგლიშვილი) იქნა არჩეული.



სურ. 6.2.6.7. კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II.

1913 წელს, ქ. ჟენევაში, ჩამოყალიბდა ორგანიზაცია „თავისუფალი საქართველო“, რომელშიც შვეიცარიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში მცხოვრები

ქართველები გაერთიანდნენ. „თავისუფალი საქართველოს“ წევრები ქართველ ხალხს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაწყებისაკენ მოუწოდებდნენ და აფრთხილებდნენ, არ ჰქონოდათ იმპერიის გარდაქმნის დაპირების იმედი.

**წყარო 5**

ფრაგმენტი ქართველი ხალხისადმი მიმართვიდან:

„უხეში ძალა ქართველ ერს მოსპობას, განადგურებას, სულიერ გაათასსირებას უქადის... შემოიკრიბეთ სამშობლოს გარშემო, იბრძოლეთ მისი მიწაწყლის დაცვისათვის... იცოდეთ მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება თავისუფლება, იცოდეთ მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლება უზრუნველყოფს საქართველოს არსებობას...“.

სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტია ეროვნულ საკითხს ნაკლებ ყურადღებას უთმობდა. პარტიის მთავარი ამოცანა იყო ერთიანი რუსეთის გარდაქმნა სოციალურად სამართლიან და დემოკრატიულ სახელმწიფოდ. მათი აზრით, ეროვნული საკითხის გამწვავება რუსეთის ერთიან დემოკრატიულ ფრონტს დაშლიდა და ხელისუფლებას პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე გამარჯვებას გაუადვილებდა. სოციალ-დემოკრატები მოითხოვდნენ რუსეთის იმპერიაში შემაჯავლი ხალხებისათვის მხოლოდ კულტურული ავტონომიის მინიჭებას. მაგრამ, მოგვიანებით, ეროვნული მოძრაობის გააქტიურების ფონზე, მათ შეცვალეს პოზიცია და საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნაც დააყენეს.

**კითხვები**

1. რატომ შეხვდნენ მტრულად ბოლშევიკები თებერვლის რევოლუციას?
2. რისი იმედი გაუჩნდა საზოგადოებასა და პოლიტიკურ პარტიებს თებერვლის რევოლუციის შემდეგ?
3. წყარო 4-ისა და 5-ის მიხედვით, რამდენად მზად იყვნენ ქართველი პოლიტიკოსები და საზოგადოება დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად?
4. შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანი იყო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვება?
5. შენი აზრით, რატომ შეიცვალეს სოციალ-დემოკრატებმა პოზიცია ეროვნული საკითხის მიმართ?

ქართველ პოლიტიკოსებში რუსეთის გარდაქმნის მოლოდინი დიდხანს არ გაგრძელებულა. არსებობიდან რამდენიმე თვის თავზე დროებითი მთავრობა დაემხო. ხელისუფლება ხელთ ბოლშევიკებმა იგდეს. რუსეთში ბოლშევიკური დიქტატურა დამყარდა. ქართველი საზოგადოება განვითარებულ მოვლენებს დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართულ აქციად აფასებდა და საბჭოთა ხელისუფლებას ემიჯნებოდა. 1918 წლის მარტში ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი პოლიტიკოსების მიერ შექმნილმა კრებამ (სეიმმა) საბჭოთა რუსეთისაგან კავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მაგრამ ვერც ახალი კავკასიური სახელმწიფო აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი – მას თურქეთისაგან დაპყრობის საფრთხე დაემუქრა.

**წყარო 6**

„...საქართველო აღმოჩნდა გამარჯვებული თურქეთის პირისპირ, რომლებიც შეიჭრნენ მის დასავლეთ მიწებზე და საქართველოს მთავრობას წარუდგინეს ულტიმატუმი, რომელიც გულისხმობდა თურქეთის ჯარების მიერ მთელი საქართველოს ოკუპაციას. ამ მძიმე ვითარებაში საქართველოს უნდა მიეღო გერმანიის დახმარება, რომელმაც მას შესთავაზა, რომ შეაჩერებდა თურქეთის შეტევას...“.

შარდინი, საფრანგეთის სამხედრო მისიის ხელმძღვანელი. 1919წ.

**დავალება 3**

1. შეაფასე რუსეთში განვითარებული მოვლენები და იმსჯელე, თუ რატომ გაემიჯნენ კავკასიელი პოლიტიკოსები საბჭოთა ხელისუფლებას.
2. წყარო 6-ის მიხედვით იმსჯელე ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლის მიზეზებზე.

**დამოუკიდებელი სამუშაო**

მოიძიე დამატებითი ინფორმაცია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის შესახებ და იმსჯელე მისი მოღვაწეობის მნიშვნელობაზე.

**განმარტებები**

**კოსმოპოლიტური** – „მსოფლიო სახელმწიფოს“ შექმნის, „მსოფლიო მოქალაქეობის“ დაწესების იდეა.

**ანგლოფილური** – აქ, ინგლისის მოკავშირე.

**თურქოფილური** – აქ, თურქეთის მოკავშირე.

## VII თავი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

### § 1. საშინაო პოლიტიკა.

ა) საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის.

1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.



სურ. 7.1.1. დამოუკიდებლობის გამოცხადება.

#### წყარო 1

ფრაგმენტი საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან

„1. ამიერიდან ქართველი ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა; 2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური მოწყობის ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა; 3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო ნეიტრალური სახელმწიფოა; 4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს; 5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის პოლიტიკურ და სხვა უფლებებს; 6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს...“.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება სახალხო ზეიმად იქცა.

#### წყარო 2

„მხოლოდ ქართველმა ბოლშევიკებმა დაგმეს რუსეთისაგან გამოყოფის დამკანონებელი აქტი, თავიდანვე ომი გამოუცხადეს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას. სხვა პოლიტიკური პარტიები საერთო მოქმედების ნიადაგზე გაერთიანდნენ...“.

ა. ბენდიანიშვილი.

#### კითხვები

1. წყარო 1-ის მიხედვით:

- ა) როგორი იყო საქართველოს საგარეო პოლიტიკა?
- ბ) რა მეტყველებს რესპუბლიკის დემოკრატიულ ხასიათზე?
- გ) როგორი იყო არაქართველი მოსახლეობისადმი დამოკიდებულება?

2. შენი აზრით, რატომ დაიკავეს ბოლშევიკებმა მტრული პოზიცია დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ?

1919 წელს არჩეული იქნა დამფუძნებელი კრება, სადაც ადგილების უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებმა მოიპოვეს. დამფუძნებელი კრება უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოსაც წარმოადგენდა და იმავდროულად რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავებაც ევალებოდა.

**ეს საინტერესოა:**

დამფუძნებელმა კრებამ წარმატებით გაართვა თავი ნაკისრ ვალდებულებებს. გააუქმა წოდებრივი განსხვავებები და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა გამოაცხადა. მოქალაქეებს მიენიჭათ სიტყვის, შეკრების, კავშირების შექმნის, გაფიცვის თავისუფლება. 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული იქნა კონსტიტუცია, რომელიც იმ დროის ყველა დემოკრატიულ მოთხოვნას აკმაყოფილებდა. სამწუხაროდ, კონსტიტუციის მოქმედება მხოლოდ რამდენიმე დღეს გაგრძელდა. 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის არმიამ თბილისი დაიკავა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გაუქმებულად გამოაცხადა.

ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად შეიქმნა ადგილობრივი მმართველობები. ადგილობრივი (სამაზრო) ხელისუფლების მთავარი ორგანო იყო არჩევითი დაწესებულება – „ერობა“, რომელსაც ექვემდებარებოდა მილიცია. „ერობა“ კონტროლს უწევდა ადგილობრივ სასამართლოებსაც.

**დავლება 1**

ტექსტისა და რუბრიკა „ეს საინტერესოა“ მიხედვით იმსჯელე, თუ რამდენად დემოკრატიულია სახელმწიფოს მართვის მოცემული მოდელი. დაასაბუთე შენი პოზიცია.

საქართველოს რესპუბლიკის წინაშე არაერთი რთულად გადასაწყვეტი ამოცანა იდგა. პირველ რიგში მოპოვებულ თავისუფლებას სჭირდებოდა დაცვა. ეს კი მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნაზე. დამოუკიდებელ საქართველოში ორი ტიპის ჯარი არსებობდა: რეგულარული არმია და გვარდია. გვარდიელები ყაზარმებში არ ცხოვრობდნენ, მათ უფლება ჰქონდათ, სამხედრო წვრთნასთან სწავლა და მუშაობაც შეეთავსებინათ.



სურ. 7.1.3. ეროვნული გვარდია.

**ეს საინტერესოა:**

თავდაპირველად გვარდია მხოლოდ მოხალისე მსროლელთაგან შედგებოდა. შემდეგ, თანდათან ჩამოყალიბდა გვარდიის არტილერია, ცხენოსანთა დივიზიონი, ტყვიამფრქვეველთა რაზმი, ჯავშნიანი მატარებლებისა და ავტომობილების რაზმი და საინჟინრო ნაწილი.

საქართველოს რეგულარული არმია შედგებოდა სამი ქვეითი ბრიგადის, სასაზღვრო ჯარის, თბილისის სადარაჯო ათასეულის, მესანგრეთა ათასეულის, ავტომობილისტთა, საავიაციო და რადიო-ტელეგრაფისტთა რაზმისაგან. საქართველოს შეიარაღებული ნაწილების საერთო რაოდენობა შეადგენდა 25-30 ათას მებრძოლს.

ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რუსეთი სამოქალაქო ომმა მოიცვა. ლენინის მთავრობას დაუპირისპირდა რუსეთის ყველა პოლიტიკური ძალა და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი. საქართველოს დამოუკიდებლობა ერთნაირად მიუღებელი იყო როგორც საბჭოთა რუსეთისათვის, ისე მისდამი მტრულად განწყობილი ძალებისათვის. ორივე მხარე ენერგიულად იბრძოდა ძალაუფლების მოპოვება-განმტკიცებისა და ერთიანი რუსეთის (ყოფილი იმპერიის) აღდგენისათვის.

**წყარო 3**

„საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ რუსეთის მხრიდან მძლავრი პროტესტი გამოიწვია. ერთმანეთში მებრძოლი ბოლშევიკური და დენიკინური რუსეთი, ორივე ჩაეჭიდა აფხაზეთის, ოსეთისა და აჭარის თემს და საქართველოს დაჩოქება მოინდომა ამ ტერიტორიების წართმევით...“.

დ. ჭუმბურიძე.

დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს მთავრობა სისტემეტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა აფხაზეთის წარმომადგენლებთან. შეთანხმება მიღწეული იქნა. აფხაზეთს ავტონომიური უფლებები მიენიჭა. საკითხის მშვიდობიანი მოგვარება ხელს არ აძლევდა საქართველოდან აფხაზეთის ჩამოცილების მოსურნეებს. ჯერ დენიკინის ჯარმა, შემდეგ კი „წითელმა არმიამ“ (ბოლშევიკური ჯარი) არაერთხელ მოინდომა აფხაზეთის დაკავება. საქართველოს მთავრობის პოზიციაც მკვეთრი იყო – გენერალმა გ. მაზნიაშვილმა საკადრისი პასუხი გასცა რუს ბოლშევიკებსა და „თეთრგვარდიელებს“ (ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლი ჯარი).

საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკა

საშინაო პოლიტიკა

ბოლშევიკები შიდა ქართლშიც, დღევანდელი „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე, გეგმავდნენ პროვოკაციებს. საქართველოს ჯარმა, სარდლების გ. მაზნიაშვილისა და ვ. ჯუღელის ხელმძღვანელობით, შესძლო აჯანყების კერების ჩახშობა და პროვოკატორებისათვის საკადრისი პასუხის გაცემა.

რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განცდილ მარცხს ვერ ეგუებოდა და საქართველოს მთავრობას ამბოხებულთა მიმართ სადამსჯელო ღონისძიებების გატარებისაგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებდა.

#### წყარო 4

„ჩვენ ძველვარებით შევიტყვეთ, რომ სამხრეთ ოსეთში, სადაც გამოცხადდა საბჭოთა რესპუბლიკა, ამ ხელისუფლების მოსასპობლად გაგზავნილია ქართული ჯარი. ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გაიწვიოთ თქვენი ჯარები ოსეთიდან, რადგან მიგვაჩნია, რომ ოსეთში უნდა იყოს ის ხელისუფლება, რომელიც მას სურს. საქართველოს ჩარევა ოსეთის საქმეებში აღიქმება, როგორც უცხოეთის ჩარევა ოსეთის შინაგან საქმეებში...“.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიჩერინი.

საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხეს თურქეთიც უქმნიდა. მისგან ბათუმის ოლქის მიტაცების ცდებს აჭარის მოსახლეობის პროტესტი მოჰყვა. აქაურმა პატრიოტებმა, მემედ, ჰეიდარ და ზია აბაშიძეებმა, ყაიდარ შერვაშიძემ, სულეიმან დიასამიძემ და სხვებმა დააარსეს „მუსლიმანური საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომელმაც გამორჩეული როლი შეასრულა აჭარიდან თურქი დამპყრობლების განდევნისა და მისი დელასამშობლოსთან საბოლოოდ გაერთიანების საქმეში.



სურ. 7.1.4. მემედ აბაშიძე.

#### დავლება 2

1. ტექსტისა და წყარო 3-ის მიხედვით იმსჯელე რუსეთისა და თურქეთის გეგმებზე საქართველოს მიმართ.
2. ტექსტისა და რუბრიკა „ეს საინტერესოს“ მიხედვით შეაფასე საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობები.
3. წყარო 4-ის მიხედვით იმსჯელე რუსეთის საპროტესტო ნოტის სამართლიანობაზე. მიუთითე, თუ რა მიზანს ისახავდა მინისტრ ჩიჩერინის წერილი.

ბ) რეფორმები დამოუკიდებელ საქართველოში.

საქართველოს ხელისუფლება მწვავე ეკონომიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. პირველ მსოფლიო ომს ეკონომიკის მკვეთრი დაცემა მოჰყვა. რუსეთის იმპერიის დაშლამ კი მოსპო ძველი სავაჭრო კავშირები, რამაც ვაჭრობა-მრეწველობასთან ერთად, სოფლის მეურნეობის დაქვეითებაც გამოიწვია. დაიწყო მასობრივი უმუშევრობა. სასურსათო კრიზისმა და ინფლაციამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა მოსახლეობის ყველა ფენა.

გადაუწყვეტელი რჩებოდა მიწის საკითხიც. უმიწოდ დარჩენილი გლეხები ხშირად პროტესტის უკიდურეს ზომებს მიმართავდნენ და მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებებს აწყობდნენ.

ხელისუფლება, პირველ რიგში, აგრარული საკითხის მოგვარებას შეუდგა. მთავრობამ სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადა ტყეები, საძოვრები, რუსეთის იმპერიის საკუთრებაში არსებული და მსხვილი მემამულეებისათვის ჩამორთმეული მიწები, რომლებიც იჯარით გლეხებზე განაწილდა. ამ ღონისძიებებმა ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის წინსვლას და გლეხების ძირითადი მოთხოვნებიც დაკმაყოფილდა.

საქართველოს ბიუჯეტის შევსებისა და ქვეყანაში უცხოური ვალუტის მოზიდვის საშუალებად იქცა ჭიათურის მანგანუმისა და ტყიბულის ქვანახშირის წარმოება.

ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად მთავრობა სხვა ღონისძიებებსაც გეგმავდა:

#### წყარო 5

„ჩვენ განზრახული გვაქვს, დავიწყოთ ახლო მომავალში ტყეების ათვისება, ჭაობების დაშრობა, სარწყავი არხების გაკეთება, რკინიგზების გაყვანა და სხვა...“.

ნ. რამიშვილი.

„ამიერკავკასია უხსოვარი დროიდან წარმოადგენდა დიდმნიშვნელოვან სააღმშენებლო (სავაჭრო) გზას ევროპასა და აზიას შორის... საერთაშორისო მშვიდობიანობის უზრუნველყოფა და ელემენტარული სამართლიანობა მოითხოვს... დაუბრუნდეს მას ადრინდელი კულტურული და სააღმშენებლო მნიშვნელობა...“.

საქართველოს მთავრობის დადგენილება.

გატარებულმა ღონისძიებებმა რამდენადმე შეანელა ეკონომიკური კრიზისი.

**წყარო 8**

„როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, ხაზინა სრულიად ცარიელი იყო. მიუხედავად ამისა დღემდე სული მაინც მოვიტანეთ ისე, რომ არავითარი საგარეო ვალი არ აგვიღია...“.

ნ. ჟორდანიას.



სურ. 7.1.5. ნოე ჟორდანიას.

**ეს საინტერესოა:**

ამ პერიოდში მოღვაწეობდა ცნობილი მეწარმე აკაკი ხოშტარია. მან ბაქოში ნავთობის გადამამუშავების საქმე წამოიწყო. წამოწყება მომგებიანი აღმოჩნდა, პირველი მსოფლიო ომის დროს ნავთობზე მოთხოვნა გაიზარდა. ა. ხოშტარიამ 1913 წელს ირანში დააარსა კომერციული საზოგადოება „პერსლესი“, გამართა ხე-ტყის ქარხნები, აგრეთვე თევზისა და საპნის საარეწები. მანვე ირანში ჩამოაყალიბა პირველი სატრანსპორტო კომპანია, მოაწყო საავტომობილო მიმოსვლა თეირანსა და ფეჰლევს შორის. ა. ხოშტარიამ ფორდის ფირმის ავტომანქანა მთავრად საჩუქრად აჰქმედ შაჰს, რომელიც დიდ პატივს სცემდა „ამ გურჯის ნიჭსა და გაქანებას“.

აკაკი ხოშტარია, რა თქმა უნდა, არც საქართველოს ივიწყებდა. მან თბილისში ააგო სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სპილენძის ქარხნები... ის ქველმოქმედებასაც ეწეოდა, აფინანსებდა საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სტიპენდიებს უნიშნავდა სტუდენტებს. საქართველოს მთავრობამ ამ ბიზნესმენისაგან შეწირული ფულით შეისყიდა აშშ-სა და იტალიაში ოთხი გემი.

**დავალბა 3**

1. იმსჯელე იმ ეკონომიკური პრობლემების შესახებ, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების წინაშე იდგა.
2. ტექსტის და წყარო 5-ისა და 6-ის მიხედვით იმსჯელე იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ხელისუფლებამ ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად გაატარა. შეაფასე მათი მნიშვნელობა.

დამოუკიდებელ საქართველოს მემკვიდრეობით ერგო ისეთი განათლების სისტემა, რომელიც ყმაწვილთა რუსიფიკაციას ემსახურებოდა. როგორც ვიცით, მაშინდელი სკოლის ძირითად ნაკლად თერგდალეულები სასწავლო პროცესიდან მშობლიური ენის განდევნას თვლიდნენ. ქართული ენა სრულიად უგულვებელყოფილი იყო სახელმწიფო და სასამართლო დაწესებულებებშიც. დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა ამ არასახარბიელო მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვდა. 1918 წელს პარლამენტის დადგენილებით ქართულს სახელმწიფო ენის სტატუსი მიენიჭა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქმის წარმოება ამიერიდან მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა შესრულებულიყო. იმათთვის კი ვინც ქართული არ იცოდა იქნებოდა სახელმწიფო ენის შესწავლის კურსები.

ენის რეფორმა საგანმანათლებლო დაწესებულებებსაც შეეხო. ამასთანავე, ეროვნულ უმცირესობებსაც ჰქონდათ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების საშუალება.

სკოლის რეფორმას მასწავლებლებმაც აუბეს მხარი. პედაგოგთა კრებებზე ისინი, მთავრობის კურსის მხარდაჭერასთან ერთად, საკუთარ მოთხოვნებსაც აყენებდნენ.



**წყარო 7**

ფრაგმენტი მასწავლებელთა კრების დადგენილებიდან:

„...მასწავლებელთა კავშირი მხარს უჭერს განათლების სამინისტროს რეფორმებს, მაგრამ ამავე დროს მოითხოვს, დაცული იქნას სკოლის ავტონომია, ე.ი. მასწავლებლობის და ღირებულებების კანდიდატურებს უნდა ადგენდნენ პედაგოგიური საბჭოები და ამტკიცებდეს მთავრობა... წინადადება მიეცეს საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოებს არავითარ შემთხვევაში არ მიიღონ თავის წრეში მთავრობის მიერ დანიშნული თანამდებობის პირები“.



ხელისუფლება იძულებული გახდა, ანგარიში გაეწია პედაგოგთა მოთხოვნისათვის და სკოლებს მართვისა და სასწავლო პროცესის ავტონომიურად წარმართვის უფლება მიანიჭა.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს) უნივერსიტეტის გახსნა თბილისში. მისი პირველი რექტორი იყო პეტრე სურ. 7.1.6. უნივერსიტეტის პირველი კორპუსი.

მელიქიშვილი, რომელიც მალე ივანე ჯავახიშვილმა შეცვალა. უნივერსიტეტის გახსნა ქართველი საზოგადოების მრავალწლიანი ზრუნვის შედეგი იყო. მისი დაარსების მოთხოვნას ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები აყენებდნენ, მაგრამ უშედეგოდ, – მეფის ხელისუფლება საქართველოში განათლებისა და მეცნიერების დაწინაურებით არ იყო დაინტერესებული.

### წყარო 8

„ქართულ უნივერსიტეტს იგივე სამეცნიერო მიზანი აქვს დასახული, როგორც საზოგადოდ ყველა ხალხისა და ქვეყნის უმაღლეს სკოლას. მაგრამ ამასთანავე იგი თავის განსაკუთრებულს, უპირატეს ყურადღებას საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის წარსულისა და აწმყოს, ადამიანისა და ბუნების ყოველმხრივ შესწავლას აპყრობს. ჩვენს უნივერსიტეტს საქართველოს ობიექტური პირობებიდან გამომდინარე განსაკუთრებული როლი მიეკუთვნება, განსაკუთრებული ღირებულება ექნება“.

გ. ლასხიშვილი, საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრი.

### დავალება 4

1. დაახასიათე საქართველოში გატარებული განათლების რეფორმა.
2. წყარო 7-ის მიხედვით, რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ მასწავლებელთა მოთხოვნები?
3. ტექსტისა და წყარო 8-ის მიხედვით იმსჯელე უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობაზე.

### დამოუკიდებელი სამუშაო

შეასრულე ერთ-ერთი დავალება:

რომის იმპერიაში მოღვაწეობდა ქველმოქმედი, სახელად მეცენატი. ის მფარველობას უწევდა მწერლებს, მეცნიერებს და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს. დღეს მისი სახელით მოიხსენიებენ ზოგადად ქველმოქმედ ადამიანს.

იმსჯელე მეცენატობის მნიშვნელობაზე სახელმწიფოში კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროების განვითარებისათვის.

### განმარტებები

**არტილერია** – ქვემეხებით შეიარაღებული ჯარის სახეობა.

**დივიზია** – მსხვილი საჯარისო შენაერთი, რომელიც შედგება რამდენიმე პოლკისა და ბრიგადისაგან

**მესანგრე** – სამხედრო საინჟინრო-სამშენებლო ნაწილის სპეციალისტი.

**ნოტა** – ერთი ქვეყნის მთავრობის წერილობითი დიპლომატიური მიმართვა მეორე ქვეყნის მთავრობისადმი.

**იჯარა** – აქ, მიწის დროებით დაქირავება.

**ბიუჯეტი** – სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის ნუსხა დროის გარკვეულ მონაკვეთში.

**ვალუტა** – უცხო სახელმწიფოს ფული.

## § 2. საგარეო პოლიტიკა.

საქართველოს მთავარი საგარეო მოკავშირე გერმანია იყო. მისი მთავრობის მზადყოფნამ, დაეცვა ჩვენი სამშობლო თურქთა შემოსევებისაგან, მნიშვნელოვანწილად განაპირობა და დააჩქარა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. 1918 წლის მიწურულს პირველი მსოფლიო ომი გერმანიის დამარცხებით დასრულდა. ამ გარემოებამ საქართველოს საგარეო პოლიტიკაზეც სერიოზული გავლენა იქონია.

სიმშვიდე არც კავკასიაში იყო. 1918 წლის ნოემბერში მოწვეულ იქნა „ამიერკავკასიის საერთაშორისო კონფერენცია“, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა მეზობელ სახელმწიფოთა შორის ტერიტორიული დავის საკითხები. კონფერენციაზე მხარეები შეთანხმდნენ:

1. ამიერკავკასიის სახელმწიფოთა ურთიერთცნობაზე;
2. ყველა სადაო საკითხის შეთანხმებით გადაწყვეტაზე, წარუმატებლობის შემთხვევაში საერთაშორისო არბიტრაჟისათვის მიმართვაზე;
3. ურთიერთმხარდამჭერ გამოსვლაზე მსოფლიო კონგრესზე იმ მიზნით, რომ მიღწეული ყოფილიყო ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების საერთაშორისო აღიარება.



მიღწეული შეთანხმება მტკიცე არ აღმოჩნდა. 1918 წლის ბოლოს სწორედ სასაზღვრო დავამ გამოიწვია საქართველოსა და სომხეთს შორის ომი.

**წყარო 1**

„მოქალაქენო, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. იმ დროს, როცა მსოფლიო ომის ხანძარი ჩაქრა, როცა მთავარი სახელმწიფოები ხმალს ქარქაშში აგებენ და იწყებენ მშვიდობიან ცხოვრებას, სომხეთის მთავრობა ფარულად ესხმის თავს საქართველოს რესპუბლიკას“.

ნ. ჟორდანიას.

**წყარო 2**

„რუსეთისა და სომხეთის ზოგიერთი პასუხისმგებელი პოლიტიკური მოღვაწე დარწმუნებული ყოფილა, რომ გერმანიის დამარცხება საქართველოს დამარცხებას ნიშნავს და ინგლისელების შემოსვლას ან დიდი რუსეთის, ანდა დიდი სომხეთის აღდგენა უნდა მოჰყვეს. ამ დიდი იმედით აიხსნება არარატის (სომხეთის) რესპუბლიკა რომ უარს აცხადებს სამშვიდობო მოლაპარაკებაზე“.

ს. კეღია, ეროვნულ-დემოკრატიული პერტიის თავმჯდომარე.


საქართველოს ჯარმა მოახერხა სომხეთის შემოტევის მოგერიება და მალე კონტრშეტევაზეც გადავიდა. ასეთ შემთხვევაში შუამავლის როლი ინგლისმა იკისრა და ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ დაახვავა მეტოქეები, – ლორე ნეიტრალურ ტერიტორიად გამოცხადდა და მასზე საქართველოს მთავრობის იურისდიქცია აღარ ვრცელდებოდა.

**კითხვები**

1. შენი აზრით, რა გავლენას იქონიებდა საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე ომში გერმანიის დამარცხება?
2. ტექსტისა და წყარო 1-ის მიხედვით, რა ფაქტორებმა განაპირობეს საქართველო-სომხეთის სამხედრო დაპირისპირება?
3. როგორ აფასებს წყარო 2-ის ავტორი საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობას საქართველოსთვის?

**ეს საინტერესოა:**

1918 წლის ოქტომბერში ინგლისსა და თურქეთს შორის მუდროსის ზავი დაიდო. თურქეთი პირველ მსოფლიო ომში დამარცხებას აღიარებდა და ამიერკავკასიაში დაკავებულ ტერიტორიებზე უარს ამბობდა. საქართველოს მთავრობის იმედი, რომ თურქეთის მიერ დაკავებული ტერიტორიები მას გადაეცემოდა, არ გამართლდა. ბათუმის ოლქი ინგლისელთა ჯარმა დაიკავა. მაგრამ მათი მმართველობა დიდხანს არ გაგრძელდებულა. 1920 წლის ივნისში ეს ტერიტორია კვლავ საქართველოს მთავრობას გადაეცა.



სურ. 7.2.1. ინგლისის ჯარი.

როგორც ვიცით, ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა რუსეთი. იქ, სამოქალაქო ომის პირობებში, წარმოიშვა ე.წ. „ყუბანის რესპუბლიკა“, რომელიც ბოლშევიკურ ხელისუფლებას ომს უცხადებდა. ყუბანის რესპუბლიკის ფაქტობრივი მმართველი გენერალი დენიკინი იყო.

**წყარო 3**

ფრაგმენტი ე. გეგეჭკორის გამოსვლიდან დამფუძნებელ კრებაზე:

„მოქალაქენო! დენიკინის შავმა ლაშქარმა გაანადგურა მთიელთა რესპუბლიკა და აზერბაიჯანის საზღვარზე გავიდა. ამავე დროს მტერმა გაააქტიურა მოქმედება სოჭის ოლქში, საქართველოს მიმართულებით მრავალრიცხოვანი ჯარი დასძრა. საქართველოს მთავრობის სურვილი იყო სადავო საკითხები დენიკინთან მშვიდობიანი მოლაპარაკებით მოეგვარებინა. მაგრამ მალე დავრწმუნდით, რომ დენიკინს მარტო რუსეთის საზღვრის აღდგენა არ აკმაყოფილებს, მისი მიზანია... საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმება“.

გამოცხადდა მობილიზაცია. მაგრამ ომი დენიკინის წინააღმდეგ საჭირო აღარ აღმოჩნდა, ის წითელარმიელებმა დაამარცხეს. ამიერიდან, საქართველოს უშუალო მეზობელი საბჭოთა რუსეთი გახდა. საქართველოს დამოუკიდებლობას არც ლენინის მთავრობა ეგუებოდა, მაგრამ საერთაშორისო აზრის თვალის ახვევის მიზნით იძულებული იყო გარკვეულ დრომდე, შეენიღბა საკუთარი ზრახვები.

**წყარო 4**

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ძირითადი მუხლები:

საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

„1) ერთა თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე საბჭოთა რუსეთი სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და ნებაყოფლობით ამბობს უარს ქართველი ხალხის მიმართ რუსეთის ყველა სუვერენულ უფლებაზე. 2) რუსეთი უარს ამბობს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევაზე. 3) საქართველო ვალდებულია კისრულობს განაიარალოს მის ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის მთავრობის სახელით მოქმედი ჯარის ნაწილები (იგულისხმება საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე თეთრგვარდიელები). 4) რუსეთი ვალდებულია კისრულობს თავის ტერიტორიაზე არ დაუშვას საქართველოს მთავრობის დამხობისათვის მებრძოლი პირები და ორგანიზაციები. 5) საქართველოს მთავრობა ვალდებულია გაათავისუფლოს საბჭოთა რუსეთისა და კომპარტიის სასარგებლო საქმიანობისათვის დასჯილი პირები...“.

**დავლება 1**

1. იმსჯელე, თუ რა საშიშროებას უქმნიდა საქართველოს რესპუბლიკას ჯერ დენიკინის, შემდეგ კი ბოლშევიკური რუსეთი.
2. იმსჯელე 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მუხლებზე და შეაფასე მათი მნიშვნელობა საქართველოსთვის.

1919 წლის იანვარში პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა პარიზში სამშვიდობო კონფერენცია მოიწვიეს. პარიზს ქართული დელეგაციაც ესტუმრა. საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკის მთავარ საკითხად გამარჯვებულ სახელმწიფოთაგან ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარება და მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლაში მხარდაჭერის მოპოვება იქცა. ამ მიზნის განხორციელება, პირველ რიგში, ინგლის-საფრანგეთის პოზიციაზე იყო დამოკიდებული.

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას ერიდებოდნენ. რუსეთი ევროპის ძლიერ სახელმწიფოთა ეკონომიკურ ინტერესს იწვევდა და, ამიტომ, თავს იკავებდნენ მასთან ურთიერთობის გაფუჭებისაგან.

საქართველოს დელეგაციამ მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებთან გამართა, იმ იმედით, რომ ეს ქვეყანა უფრო მეტად დაინტერესდებოდა საქართველოს საკითხით და ევროპელ მოკავშირეებს მისი აღიარებისაკენ მოუწოდებდა.

საქართველოს მთავრობის აქტიურობამ გარკვეული შედეგი გამოიღო, 1920 წელს საფრანგეთმა და ინგლისმა სცნეს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის ფაქტი, მაგრამ მის იურიდიულ აღიარებაზე თავი შეიკავეს.



სურ. 7.2.2. ერთა ლიგის დამფუძნებლები.

მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებლად აშშ-ს პრეზიდენტმა თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოთა გაერთიანების შექმნის იდეა წამოაყენა. მალე, 1919 წელს, ასეთი ორგანიზაცია შეიქმნა კიდევ და მას „ერთა ლიგა“ ეწოდა.

**წყარო 5**

„ერთა ლიგის“ ძირითადი მიზნები იყო:

1. ბოლო მოღებოდა სახელმწიფოთა შორის ცალმხრივ სამხედრო მოქმედებებს და მილიტარიზმს;
2. ყველა სადავო საკითხი ქვეყნებს შორის გადაჭრილიყო მშვიდობიანი გზით, საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით;
3. უნდა დადებულიყო საერთაშორისო შეთანხმებანი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე“.

„ერთა ლიგაში“ გაწევრიანება ქართველი პოლიტიკოსების მთავარ ამოცანად იქცა. საქართველოს „ერთა ლიგის“ წევრად მიღებას მხარი ათი სახელმწიფოს წარმომადგენელმა დაუჭირა, ზუსტად ამდენივე აღმოჩნდა წინააღმდეგი. ერთა ლიგაში მიუღებლობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის მარცხი იყო, მაგრამ მთავრობა მაინც არ კარგავდა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების იმედს.

**წყარო 6**

„ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა... კარგად იციან თუ რა მნიშვნელოვანი და საპატიო

მისია აწევს საქართველოს წესრიგის, თავისუფლებისა და უფლებათა დაცვის საქმეში აზიის კარებთან. მართალია, არსებობენ ერთა ლიგაში საქართველოს მიღების მოწინააღმდეგენი, მაგრამ საქართველოს მიუღებლობა ერთა ლიგაში ნიშნავს ხალხის თავისუფალი თვითგამორკვევის უარყოფას... საქართველოსთვის ეს არის უფლების საკითხი, ჩვენი უფლებაა დავიკავოთ ჩვენი ადგილი ყველა კულტურული ხალხის კავშირში, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ცივილიზაციისა და მშვიდობიანობის დაცვა...“.

ე. გეგეჭკორი.

**დავლება 2**

1. იმსჯელე იმ მიზეზებზე, რომელთა გამოც ევროპის ძლიერი სახელმწიფოები თავს იკავებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე.
2. წყარო 5-ში ჩამოთვლილი პუნქტების მიხედვით იმსჯელე, თუ რატომ ისწრაფოდა საქართველოს მთავრობა გაწევრიანებულიყო „ერთა ლიგაში“.
3. წყარო 6-ის მიხედვით, რა გარემოებები აძლევდა საქართველოს მთავრობას „ერთა ლიგაში“ გაწევრიანების იმედს?

**განმარტებები**

**არბიტრაჟი** – აქ, სადაო საკითხების გადაწყვეტა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვით.  
**კომპარტია** (კომუნისტური პარტია) – იგივე ბოლშევიკური პარტია.  
**მილიტარიზმი** – .

**§ 3. 1921 წლის 25 თებერვალი. ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.**

რუსეთში საბჭოთა ხელისუფლებამ 1920 წლის ბოლოსთვის გაიმარჯვა სამოქალაქო ომში და ახლა ყოფილი იმპერიის აღდგენისაკენ ისწრაფოდა. წითელმა არმიამ აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა. ქართველი პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ არსებულ ვითარებაში რუსეთ-საქართველოს შორის გაფორმებული „მეგობრული ხელშეკრულება“ ოდნავადაც არ იძლეოდა დამშვიდების საშუალებას.

**წყარო 1**

„...საპატიო ზავი რუსეთთან ფაქტია... რასაკვირველია, ეს დროებითია, რუსის იმპერიალიზმი (დამპყრობლური პოლიტიკა) ახალ სახეს იღებს. იგი შეეცდება კავკასიის ექსპანსიის (დაპყრობის) განახლებას...“.  
 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ.

**ეს საინტერესოა:**

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მიხედვით ქართველ კომუნისტებს თავისუფალი მოქმედების საშუალება ეძლეოდათ. კომუნისტური ორგანიზაციები რუსეთის აგენტურად გადაიქცნენ. მათ აქტიურად გააჩაღეს არსებული ხელისუფლების დამხობისა და საქართველოში ბოლშევიკური რევოლუციის მოწყობის პროპაგანდა. მართალია, მოსახლეობა არ თანაუგრძნობდა ბოლშევიკებს, მაგრამ მათი ძირგამომთხრელი საქმიანობა, საბჭოთა რუსეთიდან მოახლოებული საფრთხის ფონზე, სერიოზულად ვნებდა ქვეყნის თავდაცვის საქმეს.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს გადასარჩენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვნებას, დაეცვა სამშობლოს თავისუფლება.

**წყარო 2**

„ათი ათასობით გამოვიდა ქართველობა და სუსხიან ზამთარში მაღალ ქედებზე რაზმებად გაიშალა. სამშობლოს დაცვა დღეს უნივერსალურ აღვზნებას იწვევს ქართველ კაცში... დღეს ის სხვა კაცია, იგი პატრიოტია. ამ პატრიოტიზმმა გადაარჩინა საქართველო ამ სამი წლის განმავლობაში განსაცდელს, იგივე პატრიოტიზმი წინ აღუდგება იმ მტრულ ძალებს, რომელნიც გარს გვერტყმინან. თუ კარგად მოვუარეთ ამ გაღვიძებულ პატრიოტიზმს, საქართველო დღესაც გამარჯვებული გამოვა“.

გაზ. „საქართველო“, 1921წ.

**დავლება 1**

1. ტექსტის, რუბრიკა „ეს საინტერესოსა“ და წყარო 1-ის მიხედვით იმსჯელე იმ საშიშროებებზე, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა საქართველოს რესპუბლიკა.
2. წყარო 2-ის მიხედვით დაახასიათე საქართველოს მოსახლეობის პატრიოტული შემართება. იმსჯელე მოქალაქეთა პატრიოტიზმის მნიშვნელობაზე ქვეყნის თავდაცვისათვის.

ბოლშევიკური რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყებისათვის შესაფერის დროს ელოდა. გარკვეული სიფრთხილე, რომ დამოუკიდებელი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო გართულებას გამოიწვევდა, აბრკოლებდა საქართველოში მათ შემოჭრას. თუმცა ბოლშევიკ ლიდერთა შორის ყველა როდი ერიდებოდა საერთაშორისო რეზონანსს.

**წყარო 3**

„არ გვგონია საეჭვო იყოს, რომ მძიმე წუთებში ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვა“.

ი. სტალინი.



სურ. 7.3.1. ვ. ლენინი და ი. სტალინი.



სურ. 7.3.2. ს. ორჯონიკიძე.

**წყარო 4**

ფრაგმენტი ი. სტალინის დეკემბიდან სერვო ორჯონიკიძისადმი:

„... ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება, გასწიოს მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ შესაძლოა საჭირო შეიქნას სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია. გადაწყვედა აგრეთვე საქართველოს ფრონტს გაეგზავნოს შეკითხვა ჩვენი სამხედრო ძალების მდგომარეობაზე, თუ კიდევ რა ძალები დაგვჭირდება იმისათვის, რათა საქართველო უეჭველად დავამარცხოთ“.

მსოფლიო საზოგადოების თვალის ასახვევად რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ ხალხის აჯანყების სცენა გაითამაშა. მას შემდეგ, რაც საქართველოს მოსახლეობის აჯანყების გამოწვევა ვერ მოხერხდა, პროვოკაცია დაიგემა ლორეს ნეიტრალურ ოლქში, რომელიც საქართველოს მთავრობის იურისდიქციაში არ შედიოდა. 1921 წლის 11 თებერვალს ლორეს რამდენიმე სოფელში რუსმა და სომეხმა წითელარმიელებმა, და არა ადგილობრივმა მოსახლეობამ, საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ „აჯანყების დროშა ააფრიალეს“.



სურ. 7.3.3. წითელი არმიის შემოჭრა საქართველოში.

მალე აჯანყებულთა დასახმარებლად წითელი არმია დაიდრა. სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე და ქართველ ბოლშევიკთა სხვა ლიდერები სტალინის მითითებით – „... ახლავე შეუტეიე, დასტურია, აიღე ქალაქი (თბილისი)...“ – რუსეთის არმიას საქართველოში შემოუძღვნენ.

საქართველოს ჯარმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, სოჭიდან, მამისონისა და დარიალის უღელტეხილებიდან შემოჭრილ წითელ არმიას. 1921 წლის 18-22 თებერვალს ცხარე ბრძოლები გაიმართა თბილისის მისადგომებთან, კოჯრისა და ტაბახმელას მოდამოებში. ბრძოლებში, რომლებშიც ბოლშევიკური არმია უკუქცეულ იქნა, განსაკუთრებით ისახელეს თავი სამხედრო სასწავლებლის კურსანტებმა.



სურ. 7.3.4. წითელი არმიის შემოსვლა თბილისში.

წარმატების მიუხედავად, მთავარსარდალმა, გენერალმა კვინიტაძემ, თბილისის დაცვა შეუძლებლად სცნო. მთავრობამ დედაქალაქის დატოვების ბრძანება გასცა. 1921 წლის 25 თებერვალს წითელარმიელები თბილისში შემოვიდნენ. საქართველოს ჯარი მათ წინააღმდეგ ბრძოლას კვლავ აგრძელებდა. 18 მარტს მთავრობამ დატოვა საქართველოს ტერიტორია და საფრანგეთს შეაფარა თავი.

**ეს საინტერესოა:**

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბოლშევიკები ეტაპობრივად აუქმებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას. 1922 წლის დასაწყისში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკები ერთ სახელმწიფოდ – „ამიერკავკასიის ფედერაციად“ გაერთიანდნენ, იმავე წლის მიწურულს კი „ამიერკავკასიის ფედერაცია“ ახალი სახელმწიფოს – „საბოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის“ (სსრკ) წევრი გახდა.

**დავალება 2**

1. ტექსტისა და წყარო 3-ისა და 4-ის მიხედვით იმსჯელე, თუ რა როლი მიუძღვის რუსეთს „ლორეს მშრომელთა აჯანყებაში“ და როგორ გამოიყენა ის საქართველოს წინააღმდეგ ომის დასაწყებად.
2. იმსჯელე იმ მიზეზებზე, რის გამოც ბოლშევიკებმა ვერ გამოიწვიეს საქართველოს მოქალაქეების აჯანყება საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ.
3. შეაფასე ქართველ ბოლშევიკთა მოქმედება და მათი როლი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობის საქმეში.
4. იმსჯელე საქართველოში ბოლშევიკური მმართველობის დამყარების შედეგებზე. მათგან რომელი მიგანინა ყველაზე მტკივნეულად?

საქართველოს მოსახლეობა არასოდეს შეჰკუებია ბოლშევიკურ რეჟიმს, რომელმაც დემოკრატიულ მმართველობასთან ერთად, ქვეყნის დამოუკიდებლობაც მოსპო.

**ეს საინტერესოა:**

1922 წელს იტალიის ქალაქ გენუაში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის მონაწილეებს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ მემურანდუმი გაუგზავნა, რომელშიც სრული სიცხადით წარმოაჩინა ბოლშევიკური ტერორის მთელი სისასტიკე და დემოკრატიულ სახელმწიფოთა მთავრობებს საქართველოს გათავისუფლებისათვის მებრძოლი ძალების მხარდაჭერისაკენ მოუწოდა. ხელისუფლებამ მღვდელმთავარი სახელმწიფოს ღალატის ბრალდებით გაასამართლა და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, მაგრამ, საბოლოოდ, ხალხის რისხვით შეშინებულებმა კათალიკოს-პატრიარქი „შეიწყალა“ და პატიმრობიდან გაათავისუფლა.

1923 წლიდან დაიწყო ახალი აჯანყებისთვის მზადება, რომელსაც საერთო ეროვნული ხასიათი უნდა მისცემოდა. შეიქმნა გასაიდუმლოებული ორგანიზაციები: „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და „სამხედრო კომისია“.

**წყარო 5**

„პოლიტიკურ მუშაობას „დამკომი“ (დამოუკიდებლობის კომიტეტი) აწარმოებდა; მან აღადგინა კავშირი ყველა ორგანიზაციებთან ქალაქებში და სოფლებში... გააბა კავშირი სომხებთან, აზერბაიჯანელებთან და მთიელებთან... გაგზავნა გიორგი წინამძღვრიშვილი მოსალაპარაკებლად ქ. გროზნოში. იქ ალი მიტაევმა მეჯლისი მოიწვია. გ. წინამძღვრიშვილმა მოხსენება გააკეთა საქართველოში შექმნილი მდგომარეობის

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

1921 წლის 25 თებერვალი

შესახებ და სოხოვა მთიელებს, მოძრაობაში მონაწილეობა მიეღოთ ქართველებთან ერთად. მეჯლისმა ერთხმად მიიღო ქართველების წინადადება...“.

ს. ზალდასტანიშვილი.

აჯანყება 1924 წლის 29 აგვისტოს უნდა დაწყებულიყო. წინა დღეებში ხელისუფლებამ აჯანყების არაერთი ხელმძღვანელი (ნოე ხომერიკი, გოგიტა ფალავა, გიორგი წინამძღვრიშვილი და სხვები) დააპატიმრა. მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა: განსაზღვრულ თარიღამდე ერთი დღით ადრე, 28 აგვისტოს, აჯანყება დაიწყო ჭიათურაში. მართალია, აჯანყებულებმა წარმატებას მიაღწიეს და ქალაქი დაიკავეს, მაგრამ ნადრევი გამოსვლით ხელისუფლებას საკუთარი ძალების მობილიზების საშუალება მისცეს.



სურ. 7.3.5. ქაიხოსრო (ქაუცა) ჩოლოყაშვილი.

მალე აჯანყება მთელ საქართველოში გავრცელდა. ხელისუფლებისათვის განსაკუთრებულ საფრთხეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმები ქმნიდნენ, რომლებიც აჯანყებულთა ძირითად სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ. გურიაში, სამეგრელოში, ზემო იმერეთსა და ქართლ-კახეთის მთიანეთში მოპოვებული წარმატებების მიუხედავად, ხელისუფლებამ აჯანყების ჩახშობა მოახერხა და სასტიკად გაუსწორდა მოწინააღმდეგეებს.

### წყარო 6

„... სისასტიკის გაუგონარმა ფაქტმა, შორაპნის სადგურში ვაგონებში გამოკეტილ პატიმართა დახვრეტის შესახებ, შესძრა მთელი საქართველო და ვინ ჩამოთვლის, კიდევ რამდენი უდანაშაულო მსხვერპლი გაიღო საქართველოში“.

ვ. ბენიძე.

### დავალბა 3

1. იმსჯელე საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყების მიზეზებზე.
2. შეაფასე კათალიკოს-პატრიარქის მოქმედება და მისი მნიშვნელობა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.
3. წყარო 5-ის მიხედვით იმსჯელე დაგეგმილი აჯანყების მასშტაბებზე.
4. იმსჯელე 1924 წლის აჯანყების დამარცხების მიზეზებზე და გამოთქვი ვარაუდი მის შედეგებზე.

### ეს საინტერესოა:

აჯანყების დამარცხებამ და ხელისუფლების მხრიდან სასტიკმა ანგარიშწორებამ საქართველოს მოსახლეობაში მაინც ვერ ჩაკლა პატრიოტული სულიცკეთება.

### წყარო 7

ფრაგმენტები 1924 წლის აჯანყების მონაწილე სოლომონ ზალდასტანიშვილის მოგონებებიდან:  
„გურიიდან მასწავლებელი ქალი ჩამოვიდა, დაწვრილებით აღწერა იქაური ამბები. ბოლოს ჩემი მეგობარი შეეკითხა: ალბათ ხალხს გული გაუტყდა აჯანყების დამარცხების გამო! – რასა ბრძანებთ!? მთელი გურია იმას გაიძახის, – ერთი კვირა ხომ მაინც თავისუფლად ამოვისუნთქეთო, რა ვუყოთ რომ პირველი აჯანყება სუსტი გამოდგაო!..  
ამნაირი მაგალითები ბევრი იყო“.

### დამოუკიდებელი სამუშაო

დაიყავით ჯგუფებად, მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია 1924 წლის აჯანყების, ან მისი რომელიმე მონაწილის შესახებ და მოემზადეთ ნაშრომი პრეზენტაციისათვის.

### განმარტებები

**მემორანდუმი** – რაიმე დაწესებულების მოხსენებითი ბარათი, ან ახსნა-განმარტებითი ცნობა.  
„ჩეკა“ – რუსეთის საგანგებო კომიტეტი.